1930-იანი წლების რეპრესიების ასახვა თანამედროვე საქართველოს სასკოლო სახელმძღვანელოებში

2022

მოცემული მასალის მომზადება დაფინანსებულია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს, Sida-ს მიერ. შინაარსზე პასუხისმგებლობა სრულად ეკისრება მის შემქმნელს. Sida შესაძლოა არ იზიარებდეს გამოთქმულ ხედვებსა და ინტერპრეტაციებს.

ავტორები

ანტონ ვაჭარაძე - ხელმძღვანელი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მეხსიერებისა და დეზინფორმაციის კვლევების მიმართულება

ნინო გოზალიშვილი - ასოცირებული მკვლევარი, (IDFI) მეხსიერებისა და დეზინფორმაციის კვლევების მიმართულება

ეკა კაღანდაძე - უმცროსი მკვლევარი, (IDFI) მეხსიერებისა და დეზინფორმაციის კვლევების მიმართულება

ნინო მელიქიძე - ისტორიის პედაგოგი, სსიპ ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლა

რედაქტორები

ნინო ჩიქოვანი - პროფესორი, კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ)

დევან ავალიშვილი - პროგრამების დირექტორი, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

სარჩევი

შესავალი 01

ისტორიული კონტექსტი 02

საკითხის აქტუალობა და კვლევის მიზანი 03

კვლევის თეორიული ჩარჩო 06

კვლევის დამაბრკოლებელი ფაქტორები 08

სახელმძღვანელოების განხილვა 10

1990-იანი წლები 11

2000-იანი წლების დასაწყისი 17

2010 წლიდან 2020 წლამდე 24

2020-2021 წელი 32

დასკვნები/შეჯამება 42

შესავალი

ისტორიის სახელმძღვანელოები მიჩნეულია ეროვნული იდენტობისა და ისტორიული ცნობიერების ჩამოყალიბების ერთ-ერთ ძირითად წყაროდ. ჰოვარდ მელინგერი მიიჩნევს, რომ სოციალიზაციის ვერც ერთი ინსტრუმენტი შეედრება სახელმძღვანელოებს შესაძლებლობით - "გადასცენ ახალგაზრდებს იმის უნიფიცირებული, აღიარებული, ოფიციალური ვერსია, რისაც მათ უნდა სჯეროდეთ" (Mehlinger, 1985, 287). სახელმძღვანელოები აირეკლავს საზოგადოებას, რომელშიც ისინი იქმნება; მათში გადმოცემული ცოდნა განსაზღვრულია კონკრეტული დროით, ფასეულობებითა და შეხედულებებით, რომლებიც ამ საზოგადოებაში არსებობს (Koulouri, 2002, 31). სახელმძღვანელოში შესატანი ინფორმაციის შერჩევა არ არის მოკლებული პოლიტიკურ განზომილებას: იგი მჭიდროდ უკავშირდება დღევანდელ სოციალურ და პოლიტიკურ საჭიროებებს და, ამგვარად, ასახავს "თანამედროვე წარსულს" (Porat, 2001, 49).

ისტორიის სახელმძღვანელოები სპეციფიკური ნარატივებია, რომლებიც იქმნება ინსტიტუციონალიზებული და აღიარებული საისტორიო მასტერ ნარატივის ჩარჩოში. ეს უკანასკნელი მოიცავს განმსაზღვრელ ტექსტებს, რომელთა მეშვეობით საზოგადოება მნიშვნელობას ანიჭებს წარსულს და განსაზღვრავს თავის იდენტობას.

ისტორიის სახელმძღვანელოების გაანალიზება შესაძლებელია კოლექტიური **მეხსიერების თეორიული ჩარჩოს ფარგლებში.** როგორც ალეიდა ასმანი აღნიშნავს, ისტორია აქტიური კულტურული მეხსიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არეალია, რომელიც სახელმძღვანელოებისა და საჯარო სივრცეში არსებული მეხსიერების არეების (მონუმენტები და სხვ.) მეშვეობით უზრუნველყოფს ეროვნული ისტორიის საკვანძო მომენტების ცოდნას, მისი სიმბოლოებისა და სადღესასწაულო დღეების გაზიარებას (Assmann, 2010, 101). პიტერ ბერკის სიტყვით, სწორედ ისტორია განსაზღვრავს იმას, რა ჩაითვალოს დამახსოვრების ღირსად და რა - არა (Burke, 1980, 100-101).

მიმდინარე კვლევის მიზანია, 1990-იანი წლებიდან მოყოლებული - დღემდე, საქართველოში გამოცემული ისტორიის სახელმძღვანელოებში საბჭოთა ეპოქის ყველაზე ტრავმული პერიოდის, 1930-იანი წლების ასახვის შესწავლა.

1990-იანი წლებიდან ამ ეპოქის გადააზრება პოსტსაბჭოთა სივრცეში განსხვავებულად წარიმართა: ზოგიერთ ქვეყანაში საარქივო ღიაობის მიღწევითა და დამკვიდრებით, ლუსტრაციის კანონის მიღებითა და დეკომუნიზაციის სწრაფად წარმართვის შემდეგ, ეპოქის შესახებ მრავალი სამეცნიერო მასალა დაგროვდა და მოვლენები გაანალიზდა. გარდამავალი მართლმსაჯულება დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის, ბალტიის ქვეყნებში შედგა და მოვლენები თუ მასში მონაწილე პიროვნებების როლი სათანადოდ შეფასდა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია კრიტიკულად გაანალიზდეს ისტორიულ ნარატივში აღნიშნული პერიოდის ინტერპრეტაცია, ვინაიდან სწორედ ისტორიის კრიტიკული გადაფასების შედეგად არის შესაძლებელი წარსული გამოცდილებიდან ნიუანსური ცოდნის თანამედროვეობაში ინკორპორირება.

ისტორიული კონტექსტი

1930-იან წლებში და განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში განხორციელებული "დიდი ტერორის" ეპოქა საქართველოს, როგორც სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნების ისტორიაში, განსაკუთრებული მნიშვნელობის ტრავმული პერიოდია.

ეპოქა, რომლის მთავარი შემოქმედიც საქართველოში დაბადებული იოსებ სტალინი იყო, გამოირჩეოდა რეჟიმისთვის დამახასიათებელი სისასტიკით. ამგვარი რეჟიმის არქიტექტორის მთავარ მიზანს, პოლიტიკური ოპოზიციის სრულად მოსპობით, განსხვავებული აზრის ჩახშობით, საზოგადოებაში შიშისა და ტერორის დანერგვის გზით, საზოგადოების საბოლოო დამორჩილება წარმოადგენდა.

საქართველოში სხვა დამაბრკოლებელ პრობლემებთან ერთად, არქივების ნაკლები ღიაობის[1], 1990-იანი წლებში მიმდინარე მოვლენებისა თუ დაბალი სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის შედეგად, აღნიშნული ეპოქა სრულად ჯერაც არ არის შესწავლილი და გააზრებული. ამ ყველაფერს თან ერთვის, საქართველოს შსს არქივის ოფიციალური ცნობით, ყოფილი უშიშროების (საბჭოთა საქართველოს КГБ) არქივში მომხდარი ხანძარი, რომელსაც დოკუმენტების, საშუალოდ, 80% შეეწირა.[2]

ამრიგად, კვლევა მიმოიხილავს 1930-იანი წლების "დიდი ტერორის" შესახებ სწავლების დინამიკას, საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდიდან გამოცემული და სკოლებისთვის განკუთვნილი სახელმძღვანელოების საშუალებით. განვიხილავთ ეპოქის შესწავლის ტენდენციებს, მისთვის დათმობილ დროს, პიროვნებების (როგორც მსხვერპლების, ასევე ჯალათების) მონაწილეობისა და როლის წარმოჩენას სახელმძღვანელოებში. ანალიზი ასევე შეეხება ქართული, ისევე როგორც საერთაშორისო სამეცნიერო სიახლეების ასახვის ტენდენციებს სახელმძღვანელოებში.

[1] იხ.: ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებსა და აღმოსავლეთის ბლოკის ქვეყნებში საარქივო ღიაობის შეფასება ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ: http://open-archives.org/

[2] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოს ჟურნალი - საარქივო მოამბე, N1, 2008, გვ. 6–8.

საშუალო განათლების სტრუქტურაში სახელმძღვანელოები მიჩნეულია ინფორმაციის გადაცემის ძირითად, უმნიშვნელოვანეს საშუალებად. სახელმძღვანელოები მასწავლებლებს გაკვეთილების ორგანიზებაში ეხმარება. ამავდროულად, მათ აქვთ საშუალება „დაარეგულირონ და გააკონ-ტროლონ“ ინფორმაცია, რომელსაც ბავშვები კლასში სწავლობენ. ეს ინსტრუმენტი გამოიყენება, როგორც საშუალება, რომლითაც მოსწავლეები იძენენ „ლეგიტიმურ“ ცოდნასა და ცნებებს, რომელთა პარამეტრებს სახელმწიფო განსაზღვრავს განათლების ეროვნული სტანდარტების მეშვეობით. აღმოსავლეთ ევროპის ისტორიის ფრანგი მკვლევარი, მარკ ფერო, თვლის, რომ სახელმწიფო სწორედ სახელმძღვანელოების მეშვეობით ასწავლის თავის „ლეგიტიმურ“ იდეოლოგიურ სქემებს, ის ამყარებს მოსწავლეებში ერთგვარ vox populi-ს ეროვნული ფასეულობებისა და აღქმების ინკორპორირებით (Ferro, 2003).

ისტორიით მანიპულირების მასშტაბურობა თანამედროვე ეპოქაში განსაკუთრებით გამოიკვეთა რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებული ომის შემდეგ, რომელსაც წინ ერთოდა რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის, მიერ ისტორიის ინტერპრეტაცია იმ გზით, რომელიც დაგეგმილი ქმედებების “ლეგიტიმაციას” უზრუნველყოფდა. აღსანიშნავია რუსეთის პრეზიდენტის განსაკუთრებული დამოკიდებულება რუსეთისა და მეზობელი ქვეყნების ისტორიის მიმართ. როგორც ისტორიკოსი ფიოდორ უსპენსკი **აღნიშნავს:** “რუსეთის პრეზიდენტის დაინტერესება ისტორიით საბედისწერო და მავნებლურია. ეს ინტერესი ცოცხალი და არახელოვნურია, თუმცა ინტერესის დასაკმაყოფილებლად მასალას იგი მოიპოვებს არც თუ ისე სანდო წყაროებიდან, რასაც ხშირად ტრაგიკულ შედეგებამდე მივყავართ”.

საქართველოს ისტორიასთან მიმართებით, ვლადიმირ პუტინის ყველაზე მასშტაბური პროპაგანდისტული გამოსვლა 2019 წლის ივლისით თარიღდება, მას შემდეგ რაც ე.წ. “გავრილოვის ღამის” დაძაბულობიდან რამდენიმე დღეში, პუტინმა საქართველოს ისტორიის საკუთარი ვერსია **შემოგვთავაზა:** „ოსეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, თუ სწორად მახსოვს, 1774 წელს შევიდა. შევიდა მთლიანად, მისი სამხრეთი ნაწილიც და ჩრდილოეთიც, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. აფხაზეთი რუსეთის იმპერიაში შევიდა 1810 წელს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, სამთავრო. შემდეგში ოსეთის სამხრეთ ნაწილი შევიდა ტფილისის გუბერნიაში, არავითარი საქართველო არ ყოფილა, ეს იყო ტფილისის გუბერნია... 1918 წელს საქართველომ აფხაზეთის ოკუპაცია მოახდინა. ოკუპანტები სასტიკად მოქმედებდნენ, 1919-1920 წლებში ოკუპანტები ოსეთში უფრო სასტიკად მოიქცნენ. რეალურად, ეს ზუსტად ისაა, რასაც დღეს გენოციდს უწოდებენ“. პუტინის განცხადებიდან მალევე, 2019 წლის ივლისში სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პარლამენტმა რუსეთის ხელისუფლებას **მიმართა** თხოვნით, რომ ოფიციალურად ეღიარებინა ოსების გენოციდი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ოსების „გენოციდის“ თემა 2019 წლამდე ბევრად უფრო ადრე წამოწყებული კამპანიაა, რომლის ყველა ეტაპზეც რუსული ხელისუფლების კვალი იკვეთება.

უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ რუსეთის სკოლებში განსაკუთრებით გააქტიურდა ისტორიაზე საუბარი. 2022 წლის 20 აპრილს ავტონომიური არაკომერციული ორგანიზაციის - “რუსეთი - შესაძლებლობების ქვეყანა” [АНО «Россия – страна возможностей»] - სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მხარი დაუჭირა სკოლებში ისტორიული

განათლების მოდიფიცირებას, უკრაინაში არსებული ვითარების შესახებ ყალბი ამბების წინააღმდეგ საბრძოლველად. მისი **თქმით,** რუსეთში სკოლის მოსწავლეები განსაკუთრებით დაუცველები არიან დასავლეთიდან და უკრაინიდან გავრცელებული ყალბი ამბების მიმართ: "ბავშვებში ავრცელებენ დეზინფორმაციას უკრაინაში მიმდინარე სპეცოპერაციის შესახებ. სკოლებში უკვე ჩავატარეთ გაკვეთილები სოციალურ მეცნიერებებსა და ისტორიაში, სადაც ვესაუბრეთ იმაზე, თუ რა ხდება სინამდვილეში უკრაინაში, რა არის სპეცოპერაციის მიზანი," - **მოახსენა** რუსეთის ფედერაციის განათლების სამინისტროს ხელმძღვანელმა, სერგეი კრავცოვმა პუტინს სხდომაზე. ამრიგად, თვალსაჩინოა მზარდი ტენდენცია ისტორიის პოლიტიკურ იარაღად გამოყენების კუთხით.

საქართველოში 2022 წლიდან სკოლებში დაიგეგმა ისტორიის სწავლების გაძლიერება, რომელიც, საქართველოს განათლების **მინისტრის განცხადებით,** გულისხმობს "საქართველოს ისტორიისა" და "ისტორიის" გამიჯვნას და ცალ-ცალკე საგნებად მიწოდებას მოსწავლეებისთვის.

შესაბამისად, ისტორია სხვადასხვა ქვეყანაში ყოველთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია და უკავშირდება თანამედროვე პოლიტიკურ დღის წესრიგს. ხოლო ისტორიის სწავლების ინსტიტუციურ რეგულირებაზე, საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ექსკლუზიური უფლება სახელმწიფოს აქვს აღებული. აღნიშნულ ინსტიტუციურ მარეგულირებლებში სახელმძღვანელოები მნიშვნელოვან როლს თამაშობს. გარდა სახელმძღვანელოებისა, ხშირად გამოიყენება მასთან დაკავშირებული სხვა საგანმანათლებლო ხერხები. მაგალითად, თანამედროვე რუსეთში, ავტორიტარული[3] რეჟიმის სახელმწიფოში, ერთ-ერთი ხერხია ღია გაკვეთილები და ვიდეოები, სადაც, მაგალითად, თანამედროვე რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი კრემლისტური ნარატივითაა გადმოცემული. ისტორიული სიმართლის "დამახინჯებისთვის" (კრემლის ვერსიით) კი გამოიყენება სხვადასხვა სანქცია, მათ შორის სისხლის სამართლებრივი დევნაც კი.

როგორც ფრანგმა ფილოსოფოსმა და ჰერმენევტიკის თეორეტიკოსმა პოლ რიკორმა აღნიშნა, „ისტორიას" ნაკლებად აქვს საერთო მეცნიერებასთან და ბევრი რამით არის დაკავშირებული ამბის თხრობასა და ეფექტური სცენარის შექმნასთან, რომელიც იდეოლოგიურად გამორჩეული იქნება (Ricoeur, 1981). თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ისტორიას არ გააჩნია ფაქტოლოგიური საფუძვლები. ფაქტობრივი მტკიცებულებები "ისტორიული" მოვლენების უკან შეიძლება საკმაოდ ღრმა იყოს. თუმცა, დოკუმენტების სიმრავლისა და კონკურენტული ინტერპრეტაციებიდან გამომდინარე, ისტორიკოსები ირჩევენ მტკიცებულებებს, რომლებიც საუკეთესოდ ერგება მათ ნარატივს ორგანული და ბუნებრივი ეროვნების/სახელმწიფოებრიობის შესახებ, ტოვებენ ან/და ეფექტურად „აჩუმებენ" სხვა ხმებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ამ შერჩევით აგებულ ნარატივს, რაც განსაკუთრებით გავრცელებულია სკოლის სახელმძღვანელოების შემთხვევაში.

[3] გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციის, ფრიდომ ჰაუსის შეფასებით, დღესდღეობით რუსეთის ფედერაციაში ავტორიტარული მმართველობის რეჟიმია: https://freedomhouse.org/country/russia

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში გაიზარდა დაინტერესება საბჭოთა ტერორის შესწავლის კუთხით. ამ პერიოდიდან, ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების შედეგად, გამოიცა რამდენიმე ნაშრომი, რომელთაგან აღსანიშნავია: “დაკარგული ისტორია: მეხსიერება რეპრესირებული ქალების შესახებ”, ანთოლოგია (2012), “ბოლშევიკური წესრიგი საქართველოში: ტერორი კავკასიის პატარა რესპუბლიკაში” 2 ტომად, მარკ იუნგე, ომარ თუშურაშვილი, ბერნდ ბონვეჩი (2015); “ეთნოსი და ტერორი საქართველოში”, მარკ იუნგე, ბერნდ ბონვეჩი, დანიელ მიულერი (2015); “საქართველოს ოკუპაცია, ბოლშევიკური ინტერპრეტაციები (1921)” (2017), “პოლონელთა რეპრესიები საბჭოთა საქართველოში დიდი ტერორის დროს” და “1937-1938: პოლონელები საქართველოში”, რედ.: ომარ თუშურაშვილი (2019); “საბჭოთა რეპრესიები და დამფუძნებელი კრების წევრები”, რედ.: ნინო ყიფშიძე (2020). გარდა ამისა, 2008 წლიდან შსს არქივი გამოსცემდა ჟურნალს “საარქივო მოამბე”, რომელშიც, ძირითადად, არქივის თანამშრომლების სტატიები და დოკუმენტური წყაროები ქვეყნდებოდა და დიდი წილი რეპრესიებს ეხებოდა.

მიმდინარე კვლევის ერთ-ერთი მიზანია იმის დადგენაც, რამდენად აისახება 1930-იანი წლების “დიდი ტერორის” შესახებ წლების განმავლობაში სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანილი სიახლეები სკოლის სახელმძღვანელოებში, რამდენად იყენებენ სახელმძღვანელოების ავტორები ზემო-აღნიშნულ და სხვა კვლევებსა და გამოცემებს.

ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად, კვლევა გააანალიზებს 1990-იანი წლებიდან 2021 წლის ჩათვლით გამოცემულ და ხელმისაწვდომ, IX-XII კლასებისთვის განკუთვნილ ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში შესაბამის ნარატივებს.

პიერ ნორა სახელმძღვანელოებს მეხსიერების არეებად მიიჩნევს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისტორიული უწყვეტობის შენარჩუნებაში (Nora, 2001, 19). მისი კლასიფიკაციით, სახელმძღვანელოები ფუნქციური არეების კატეგორიას მიეკუთვნება (Nora, 1989, 19), რომლებიც ხელს უწყობს საზიარო მეხსიერების მატარებელი ჯგუფების კონსოლიდაციას. ფაქტის, მოვლენის თუ პერსონაჟის შეტანა სახელმძღვანელოში, მეხსიერების ნაწილად მათი ქცევის მნიშვნელოვანი საშუალებაა.

სახელმძღვანელოები მეხსიერების ფორმირების ყველაზე ფართოდ გამოყენებადი და მისაწვდომი რესურსია. სოციალიზაციის ყველაზე აქტიურ - სასკოლო განათლების - ეტაპზე ისინი ახალგაზრდა მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობის ხელში გაივლის და ამა თუ იმ ფაქტის მეხსიერების შექმნასა და გადაცემაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. სახელმძღვანელოების მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ მეხსიერების ოფიციალურ პოლიტიკაზე.

- რამდენად შეესაბამება სახელმძღვანელოები ისტორიის საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებს?

ხარისხობრივი თვალსაზრისით:

- საშუალოდ რა წილი ეთმობა სახელმძღვანელოებში კვლევის საკითხის (რეპრესიები მე-20 საუკუნის 30-იან წლებში) გადმოცემას? როგორია ცვალებადობის ტენდენცია?
- როგორია სასწავლო მასალის მიწოდების ფორმა: თანაფარდობა ავტორ(ებ)ის ტექსტისა და წყაროების მოცულობას შორის;

შინაარსობრივი თვალსაზრისით:

- გამოყენებულია თუ არა მულტიპერსპექტიული მიდგომა (რომელსაც სტანდარტი ითვალისწინებს): იძლევა თუ არა ავტორთა ტექსტი და თანდართული წყაროები მოვლენების სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახვის შესაძლებლობას?
- წყაროთა შერჩევის პრინციპი - ავტორთა დებულებების ილუსტრაცია თუ განსხვავებული მოსაზრებების წარმოჩენა?
- რას ემსახურება თანდართული წყაროები (ტექსტური, სტატისტიკური თუ ვიზუალური მასალა) და დავალებები: ფაქტობრივი ცოდნის განმტკიცებას ტექსტში მოცემული ინფორმაციის შევსების და ილუსტრირების გზით? ალტერნატიული შეხედულებ(ებ)ის გაცნობას? კითხვების გაჩენას მოვლენათა სხვაგვარი განვითარების შესაძლებლობასთან დაკავშირებით?
- იძლევა თუ არა ტექსტის თანმხლები წყაროები შესაძლებლობას, რომ მოსწავლემ დაინახოს მათში დაცული ინფორმაციის მრავალფეროვნება? როგორ არის წარმოდგენილი წარსულის ეს მონაკვეთი - როგორც დადგენილი და შეუვალი „სიმართლე“ თუ რთული და წინააღმდეგობრივი პროცესი, რომელსაც ერთგვაროვნად არ აღიქვამდნენ და არც დღეს აღიქვამენ?
- რამდენად მრავალფეროვანია ავტორთა მიერ მიწოდებული ინფორმაცია და წყაროები: მაგალითად, ეცნობა თუ არა მოსწავლე როგორც მსხვერპლის, ისე დამსჯელთა და მათი ოჯახის წევრების ნარატივებს? ასევე მათ ნარატივებს, ვისი ოჯახის წევრები ჯერ დამსჯელთა შორის იყვნენ, შემდეგ კი თავად აღმოჩნდნენ რეპრესირებული?
- გამოყენებულია თუ არა თუ არა წლებში გამოქვეყნებული საარქივო მასალა, მემუარები და ა.შ.?
- ავტორთა თხრობა შემოიფარგლება კონკრეტული ამბების გადმოცემით თუ ნაჩვენებია კონტექსტი?
- გამართულია თუ არა კვლევის საგნის ამსახველი ტერმინოლოგია?
- და ბოლოს, შეიცვალა თუ არა საკვლევ საკითხზე თხრობის ფორმა და შინაარსი ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში?

კვლევის დამაბრკოლებელი ფაქტორები

კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დამაბრკოლებელ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს სახელმძღვანელოების შერჩევის პრინციპი 2006 წლამდე, ვიდრე გამოიცემოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება - "რეკომენდებული სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ"[4] და არ დაიწყებოდა სახელმძღვანელოების გრიფირება. ბრძანება შემდგომ წლებში რამდენიმეჯერ შეიცვალა.

1990-იანი წლების დასაწყისში სწავლება, ძირითადად, მიმდინარეობდა საბჭოთა ეპოქაში გამოცემული სახელმძღვანელოებით. 1994 წლიდან უკვე გამოიცა პირველი სახელმძღვანელოები (ლომაშვილი, ვაჩნაძე/ გურული და სხვა). **მანამდე, 1990 წელს იმავე ფარნაოზ ლომაშვილის სახელმძღვანელოში, მე-11 კლასი არ მოიცავდა საბჭოთა ეპოქას და პრაქტიკულად არ ისწავლებოდა. შესაბამისად, ჩვენ კვლევაში მიმოვიხილავთ 1994 წლიდან გამოცემულ სახელმძღვანელოებს.** გასათვალისწინებელია, ისიც, რომ სხვადასხვა ფაქტორიდან გამომდინარე ხშირად სირთულეს წარმოადგენდა ახალი წიგნების სკოლებში შეტანა და სწავლება კვლავ საბჭოთა დროის სახელმძღვანელოებიდან გრძელდებოდა. სახელმძღვანელოების სისტემატიზაცია მხოლოდ 2006 წლიდან, გრიფირების პროცესის დაწყებიდან დაიწყო.

IDFI-ის მიერ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე, გაირკვა, რომ სასწავლო პროცესში გამოსაყენებლად ნებადართული სახელმძღვანელოები სხვადასხვა წლებში სხვადასხვა სტატუსით არის ნახსენები - „გრიფირებული", „აპრობირებული", „რეკომენდებული".

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით, 2000-2001 წლებში სასწავლო პროცესისთვის გამოყენებულ სახელმძღვანელოებს არ ჰქონდათ არცერთი ზემოხსენებული სტატუსი მინიჭებული, 2003-2004 სასწავლო წლისთვის სამინისტროს ნებადართული ჰქონდა აპრობირებულ სახელმძღვანელოთა გამოყენება, 2004-2005 წლებში კი სახელმძღვანელოები რეკომენდებულის სტატუსით გვხვდება, 2005-2006 სასწავლო წლიდან კი - გრიფმინიჭებულის.

რაც შეეხება 2000 წლამდე სასწავლო წლისთვის გამოყენებულ სახელმძღვანელოთა ნუსხას, სამინისტროს ინფორმაციით, "განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მუდმივად შესანახი ბრძანებები 1999 წლის ჩათვლით, გადაცემულია საქართველოს ეროვნულ არქივისთვის სახელმწიფო დაცვაზე" და ისინი არ ფლობენ აღნიშნულ ინფორმაციას.

[4] https://matsne.gov.ge/ka/document/view/1389601?publication=0

გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრული სწავლა-სწავლების "ისტორიის" სტანდარტი, 1990-იანი წლებთან მიმართებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს **ვებგვერდზე არ მოიპოვება.** ვხვდებით მხოლოდ 2007 წლიდან გამოქვეყნებულ ეროვნულ სასწავლო გეგმებს, რომლებიც, თავის მხრივ, მოიცავს ისტორიის სწავლა-სწავლების მიზნებს, თუმცა საკუთრივ სტანდარტი, მხოლოდ 2018-2024 წლის საბაზო საფეხურის ეროვნულ სასწავლო გეგმაში ფიგურირებს.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა წლით დათარიღებული ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ისტორიის სწავლა-სწავლების მიზნები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს ემთხვევა და ძირეულ მიზანთა ნუსხა საერთოა. ამიტომ, ამ ფაქტორის გათვალისწინებით, შესაძლებელია 2007 წლამდე გამოქვეყნებული სასწავლო სახელმძღვანელოების მოკლე მაიდენტიფიცირებელი მიმოხილვა XX საუკუნის 30-იან წლებში განხორციელებულ რეპრესიებთან დაკავშირებით, რაც სხვადასხვა წლებში გამოყენებულ სასწავლო სახელმძღვანელოებთან მიმართებით შედარებითი სურათის შექმნის საშუალებას იძლევა.

აღნიშნულ კვლევაში, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოების განხილვისას, გამოწვევები გვხვდება ისტორიის სწავლა-სწავლების ისეთ მნიშვნელოვან მიზნებთან, როგორიცაა:

- მოსწავლეს განუვითაროს ისტორიული (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური) პროცესების ანალიზისა და მათი თანამედროვეობასთან შედარების უნარი; ისტორიული პიროვნებებისა და მოვლენების მრავალმხრივად და განსხვავებულად შეფასების/ შედარების უნარი;
- დაეხმაროს მოსწავლეს ისტორიული ეპოქების აღქმასა და მათი მახასიათებლების ერთმანეთთან/ თანამედროვეობასთან შედარებაში;
- მოსწავლეს განუვითაროს ისტორიის კვლევისთვის საჭირო უნარები;
- მოსწავლეს შესძინოს ისტორიის დარგობრივი ენით ოპერირების უნარი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სხვადასხვა წლებში არსებული სასწავლო გეგმის მიხედვით, "საბაზო საფეხურზე მოსწავლეს უნდა ჩამოუყალიბდეს ისტორიული აზროვნების უნარი: შეძლებისდაგვარად უნდა შეეძლოს ისტორიული მოვლენის მიზეზების ახსნა და მისი შედეგების გაანალიზება; ისტორიული პროცესის სხვადასხვა კუთხით (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური) დანახვა; ისტორიულ მოვლენაზე და პიროვნებაზე განსხვავებული ინტერპრეტაციების არსებობის მიზეზების დადგენა, განსხვავებული ახსნა-განმარტებების შედარება და შეფასება. ისტორიული წყაროების მოძიება, ისტორიული მასალის (ისტორიული წერილობითი წყაროები, არქეოლოგიური თუ ეთნოგრაფიული მასალა, ისტორიულ თემაზე შექმნილი მხატვრული ნაწარმოებები, ფოტოსურათები და ა.შ.) შედარება და ანალიზი; ისტორიული თემის დაწერა; ისტორიულ თემაზე გამართულ დებატებში მონაწილეობა".

საშუალო საფეხურზე, სხვადასხვა წლებში არსებული ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით კი, "ისტორიის სწავლებამ მოსწავლეს უნდა დაანახოს, რომ ისტორია არის უწყვეტი პროცესი... ასევე უნდა განუვითაროს პრობლემის გადაჭრის უნარი. ამ ამოცანების შესრულება მოითხოვს, რომ მოსწავლეს ჰქონდეს ისტორიული აზროვნება: მას უნდა შეეძლოს ისტორიული ეპოქის აღქმა; ისტორიულ მოვლენებს შორის რთული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა და ანალიზი; ისტორიული მოვლენის მიზეზებისა და შედეგების განსხვავებული შეფასებების შედარება და ანალიზი; კანონზომიერებების შესახებ საკუთარი მოსაზრების დასაბუთება; დამოუკიდებელი ისტორიული კვლევა..."

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელოები ისტორიის საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებს, XX საუკუნის 30-იან წლებთან მიმართებით, ნაწილობრივ პასუხობს და შეინიშნება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მახასიათებელთა მეტ-ნაკლებად უგულებელყოფა.

1990-იანი წლები

1990-იან წლებში ფარნაოზ ლომაშვილის ავტორობით არაერთი სახელმძღვანელო გვხვდება, მათ შორისაა XI კლასის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, რომელიც 1994-1999 წლებში 4–ჯერ გამოიცა. 1994-95-97 წლების სახელმძღვანელოები ერთმანეთის იდენტურია - მოიცავს 1918–1985 წწ.–ის პერიოდს. 1999 წლის გამოცემა კი - 1918–1991 წლებს. ამ უკანასკნელში დამატებულია 1985–1991 წლები, ასევე, წინა გამოცემებთან შედარებით მცირეოდენი ცვლილებებია შეტანილი.

ფარნაოზ ლომაშვილი საქართველოს ისტორიის კიდევ ერთი სახელმძღვანელოს ავტორია, რომელიც გამომცემლობა "განათლებამ" 2000 წელს გამოსცა და მე-9 კლასის მოსწავლეებისთვის არის განკუთვნილი.

ფარნაოზ ლომაშვილი, საქართველოს ისტორია, XI კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა "განათლება", 1995

ფარნაოზ ლომაშვილის 1995 წლის საქართველოს ისტორიის XI კლასის სახელმძღვანელო საკმაოდ მწირი მიზნობრივი მასალით გამოირჩევა XX საუკუნის 30-იან წლებთან დაკავშირებული მოვლენების განხილვისას. ასევე, გამოწვევები გვხვდება ისტორიის სწავლა-სწავლების მნიშვნელოვან მიზნებთან მიმართებითაც.

XX საუკუნის 30–იან წლებს აღნიშნულ სახელმძღვანელოში სამი პარაგრაფი ეთმობა, რომლებიც, თავის მხრივ, რამდენიმე ქვეთავად იყოფა – „საქართველოს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პირველი ცდის ჩაშლა", „საქართველოს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დამთავრება და კულაკობის ლიკვიდაცია", „კულტურული რევოლუციის" განხორციელება".

რეპრესიებთან მიმართებით, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის გამორჩეულად ტრავმულ პერიოდთან ასოცირდება, ფარნაოზ ლომაშვილის სახელმძღვანელოში ზედაპირულ ფაქტოლოგიურ ნარატიულ მასალას ვხვდებით, რაც არ იძლევა საშუალებას, მოსწავლემ საფუძვლიანი ცოდნა მიიღოს ისტორიის ამ მონაკვეთის შესახებ. კერძოდ, სახელმძღვანელოში არ არის შეტანილი შესაბამისი საარქივო დოკუმენტები და წყაროები, რომლებიც ასახავს რეპრესიების სისასტიკესა და იმ პერიოდის მოვლენების სრულ სურათს. ასევე, ავტორი საკმაოდ მწირ ნარატიულ პასაჟებს იყენებს რეპრესირებული ინტელიგენციისა და პოლიტიკური ელიტის ბედის აღსაწერად. პარაგრაფის ბოლოს კი ჩამოთვლილია კითხვები, რომელთაგანაც მხოლოდ ერთი პასუხობს რეპრესიების საკითხს. სადისკუსიო თემატიკა და ავტორის მიერ გამოყენებული დოკუმენტები, რომლებსაც სახელმძღვანელოში თემის ბოლოს ვხვდებით, არ ეხება რეპრესიებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, იმ მიზნებს, რაც ისტორიული პროცესების ანალიზსა და ისტორიული პიროვნებებისა და მოვლენების შეფასება/შედარებას, ისტორიული ეპოქების აღქმასა და მათ ერთმანეთთან შედარებას უკავშირდება, სათანადოდ არ პასუხობს აღნიშნული სახელმძღვანელო. ასევე, ნაკლებად სავარაუდოა, მხოლოდ ფაქტების სახით მოყვანილ მასალაზე დაყრდნობით მოსწავლემ შეძლოს ისტორიის კვლევისთვის საჭირო უნარების განვითარება და დარგობრივი ენით ოპერირება.

მე-14 პარაგრაფში - "კულტურული რევოლუციის" განხორციელება" ავტორი დაწვრილებით მიმოიხილავს XX საუკუნის 20–30–იანი წლების საბჭოთა კულტურას, ხელისუფლების მიერ კულტურის ჩარჩოში ჩასასმელად და იდეოლოგიურ იარაღად ქცევისაკენ მიმართულ ღონისძიებებს და ერთ ქვეთავს უთმობს რეპრესიებს (გვ. 150–154), რომლის მესამედსაც რეპრესირებული საზოგადო მოღვაწეების ფოტომასალა წარმოადგენს.

30–იანი წლების მეორე ნახევარში განხორციელებული პოლიტიკური რეპრესიების მიზეზად სახელმძღვანელოს ავტორი ასახელებს ძალაუფლებისათვის ბრძოლას, რომელიც კომუნისტური პარტიის მემარჯვენეებს (ბუხარინელებს), მემარცხენეებსა (ტროცკისტები) და ცენტრისტებს (სტალინელები) შორის მიმდინარეობდა. როგორც ავტორი წერს, 30–იანი წლების დასაწყისში, ახალი მსოფლიო ომის დაწყების საშიშროების გამო გადაწყდა, რომ მანამდე იდეურად განადგურებული მემარცხენეები და მემარჯვენეები ახლა უკვე ფიზიკურად მოესპოთ, რის საბაბადაც სერგეი კიროვის მკვლელობა გამოიყენეს.

ავტორი აღნიშნავს, რომ, თავდაპირველად, რეპრესიები კანონიერების ფორმალური დაცვით მიმდინარეობდა, თუმცა შემდეგ შემოიღეს ადმინისტრაციული წესით, ე.ი. გაუსამართლებლად გადასახლება ან დახვრეტა, რაც ე.წ. „ტროიკების"[5] მეშვეობით ხორციელდებოდა. აქვე აღნიშნავს, რომ საქართველო, როგორც საკავშირო მასშტაბით პარტიული და სახელმწიფო აპარატის ხელმძღვანელი კადრებით მთავარი მომმარაგებელი, განსაკუთრებით დაზარალდა.

აღსანიშნავია, რომ ავტორი არ განმარტავს ე.წ. "ტროიკის" მნიშვნელობას და არ საუბრობს დეტალურად მისი ძირითადი მახასიათებლების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ ავტორის თხრობა ხასიათდება რეპრესიების პერიოდის სოციალურ-პოლიტიკური ლანდშაფტის უშუალო აღწერითა და მკვეთრად ნეიტრალური ტონით. ეპოქის კონკრეტულ ამბავთა მიმოხილვისას კი, ავტორი ნაკლებად ცდილობს გადმოსცეს მოვლენათა დინამიკა უფრო დეტალური კონტექსტითა და მიზეზ-შედეგობრივი ფაქტორების გათვალისწინებით. ეს ხელს უწყობს ფაქტებთან და მოვლენებთან დისტანცირებას, რაც, თავის მხრივ, შეფასებითი კომპონენტისგან თავშეკავების მანიშნებელია.

სახელმძღვანელოში მოკლე ისტორიული მიმოხილვა ეთმობა რეპრესირებულ პირებს. აღნიშნულ კონტექსტში ავტორი არ ახსენებს რეპრესირებულ მშრომელ ფენას და მხოლოდ ინტელიგენციისა და პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლების ჩამონათვალით შემოიფარგლება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არასაკმარისი ინფორმაციის გათვალისწინებით, ნაკლებად სავარაუდოა, მოსწავლეს შეექმნას საჭირო წარმოდგენა საბჭოთა რეპრესიების მასშტაბებისა და სამიზნე დიაპაზონის შესახებ. წიგნში ინტელიგენციის მიმართ განხორციელებული რეპრესიები მოკლედაა განხილული და ჩამოთვლილია რეპრესიების მსხვერპლთა ნაწილი – მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, სანდრო ახმეტელი, ევგენი მიქელაძე, გრიგოლ წერეთელი, ბიძინა რამიშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი.

[5] შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის "განსაკუთრებული სამეული" - 3 წევრისგან შემდგარი ორგანო, რომელიც ასამართლებდა დიდი ტერორის დროს რეპრესირებულებს.

აღსანიშნავია, რომ ავტორი სახელმძღვანელოში არ საუბრობს გულაგის სისტემაზე, რომელიც მილიონობით ადამიანის მონურ შრომას ეფუძნებოდა.

ავტორი ცალკე აღწერს რეპრესიებით შევიწროებულებს, რომელთა ნაწილმაც საზღვარგარეთ შეაფარა თავი (გრიგოლ რობაქიძე), ნაწილი უსამსახუროდ დარჩა (ივანე ჯავახიშვილი), ნაწილმა კი თავი მოიკლა (პაოლო იაშვილი).

ფარნაოზ ლომაშვილის ავტორობით შექმნილი სახელმძღვანელო ასევე ეხება ქართული პოლიტიკური ელიტის განადგურებას და, ძირითადად, მათი ვინაობის დასახელებით შემოიფარგლება – ლავრენტი ქართველიშვილი, მამია ორახელაშვილი, სამსონ მამულია, მიხეილ კახიანი, ლევან ღოღობერიძე და ა.შ. არ ახსნებს ისეთ ცნობილ მოღვაწეებს, როგორიცაა, მაგალითად, ბუდუ მდივანი.

პარაგრაფის დასასრულს მოცემულია 17 შეკითხვა, რომელთაგან მხოლოდ ერთი ეხმიანება რეპრესიებს – *„ით გამოიხატა და ა შედეგები მოჰყვა 30–იანი წლების მეორე ნახევრის ეპრესიებს?“*. ავტორი ასახელებს რეპრესირებულთა საკმაოდ დიდ რაოდენობას, თუმცა არ ჩანს კონკრეტული ბრალდებები, აღნიშნული საქმეების დეტალური მახასიათებლები და ა.შ.

პარაგრაფის ბოლოში დართულია ორი დოკუმენტი (გვ. 155–158), რომელთაგან არცერთი უკავშირდება რეპრესიებს (პირველში საუბარია რუს მწერალთა ჯგუფის მიმართვაზე მსოფლიოს მწერლებისადმი, სადაც გაკრიტიკებულია საბჭოთა სისტემა, ცენზურა და ა.შ., მეორე – ბუხარინის სიტყვით გამოსვლაა).

სადისკუსიო კითხვაც არ ეხება რეპრესიების საკითხს და მოსწავლეებს საქართველოში „კულტურული რევოლუციის“ ბოლომდე ვერ გატარების მიზეზების განხილვას ავალებს.

აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოში არსებული ნარატიული მასალა, რაც, ძირითადად, ავტორისეულ თხრობას მოიცავს, თანაფარდობის მხრივ სჭარბობს საკითხთან მიმართებით გამოყენებულ წყაროთა მოცულობას. ამასთანავე, პარაგრაფში, რეპრესიების საკითხთან დაკავშირებით, თხრობისთვის შერჩეული ტექსტი და თანდართული ფაქტოლოგიური მასალა არ იძლევა მულტიპერსპექტიული მიდგომებით სარგებლობის საშუალებას, რაც, თავის მხრივ, უნდა გულისხმობდეს პარაგრაფში დასმული საკითხებისა თუ მოვლენების სხვადასხვა პერსპექტივით აღქმის შესაძლებლობას.

ფარნაოზ ლომაშვილი, საქართველოს ისტორია, XI კლასის სახელმძღვანელო, 1999

1995 წლის სახელმძღვანელოსა და 1999 წლის სახელმძღვანელოს შორის, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელს შევსებული გამოცემა აწერია, 1930-იან წლების შესახებ განსხვავება მინიმალურია.

მე-14 პარაგრაფი, ფაქტობრივად, უცვლელია შინაარსობრივი თვალსაზრისით, იმ განსხვავებით, რომ რეპრესირებულთა სიას დაემატა რამდენიმე მოღვაწე (ასევე ფოტომასალა).

პარაგრაფის დასასრულს მოცემული 17 კითხვა 1999 წლის გამოცემაში 13–მდე შემცირდა. წყაროების შემდეგ მოცემულ კითხვებში კი, პირიქით – ერთი კითხვა დაემატა და 7 გახდა.

ფარნაოზ ლომაშვილი, საქართველოს ისტორია, IX კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა "განათლება", 2000

ფარნაოზ ლომაშვილის ავტორობით 2000 წელს გამოცემულ მე-9 კლასის ისტორიის სახელმძღვანელოში, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებთან თანხვედრის მხრივ, მცირედი სახეცვლილება შეინიშნება 1995-1999 წლებში გამოცემულ მე-11 კლასის სახელმძღვანელოებთან შედარებით. მე-9 და მე-11 კლასის სახელმძღვანელოების შედარება კი განპირობებულია აღნიშნულ წიგნებში საკვლევი თემის სხვადასხვა მოცულობითი მაჩვენებლით, რომელიც წესით საშუალო საფეხურის სახელმძღვანელოში გაცილებით მეტი უნდა იყოს, ვიდრე საბაზო საფეხურის სახელმძღვანელოში.

XX საუკუნის 30-იან წლებში განხორციელებულ რეპრესიებთან დაკავშირებით, ნარატიული მასალისა და დამხმარე წყაროების თვალსაზრისით, სახელმძღვანელოში მწირი მასალა მოიპოვება, თუმცა როგორც აღვნიშნეთ, ფარნაოზ ლომაშვილის ავტორობით წინა წლებში გამოცემულ სახელმძღვანელოებთან შედარებით მცირე პროგრესი შეინიშნება. ავტორი ცალსახად ცდილობს უფრო მტკიცებითი და შეფასებითი ფორმით მოგვითხროს რეპრესიების მიმდინარეობის ეტაპებსა და მანკიერ მხარეებზე, რის საილუსტრაციოდაც იყენებს დამხმარე ნარატიულ მასალას რამდენიმე წყაროს სახით. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ავტორის მცდელობა მულტიპერსპექტიული მიდგომა ნაწილობრივ მაინც გამოეყენებინა სახელმძღვანელოში, რაც მოსწავლეს საშუალებას მისცემს უკეთ აღიქვას კონკრეტული ეპოქა და სხვადასხვა პერსპექტივით დაინახოს ამა თუ იმ მოვლენის მიმდინარეობა.

აღნიშნულ სახელმძღვანელოში 22-ე თავი ეთმობა თემას - საქართველო მეორე მსოფლიო ომის წინ. ხსენებული თავი შედგება სამი ქვეთავისგან. ჩვენი საკვლევი საკითხი კი შედის მეორე ქვეთავში - 30-იანი წლების რეპრესიები.

ავტორი XX საუკუნის 30-იან წლებში განხორციელებულ რეპრესიებზე საუბარს სერგეი კიროვის მკვლელობით იწყებს, რომელსაც საბაბად მოიხსენიებს და შემდგომ ნამდვილ მიზეზებზე წერს.

ერთ-ერთ მიზეზად ასახელებს სტალინის მიერ ძალაუფლების განმტკიცებას, რის გამოც დაიწყო ტროცკისტებისა და ბუხარინელების განადგურება, შემდეგ ამბობს, რომ „ოპოზიციონერთა ფიზიკურ მოსპობას იმითაც ამართლებდნენ, რომ ომის შემთხვევაში (იგულისხმება მეორე მსოფლიო

ომი) ამ უკანასკნელთ შეეძლოთ ე.წ. „მეხუთე კოლონის“ როლი შეესრულებინათ.“ აღსანიშნავია, რომ წინა წლების სახელმძღვანელოში ნაკლებად იყო გამიჯნული საბაბისა და მიზეზის ძირითადი მახასიათებლები და ერთ კონტექსტში აღიქმებოდა.

ავტორი რეპრესირებულ პირთა საკითხზე საუბრისას წინა წლების სახელმძღვანელოების პრაქტიკას ავითარებს, რაც გულისხმობს იმავე ნარატივისა და მწირი ფაქტოლოგიური მასალის გამოყენებას, ბუნდოვანი ისტორიული სიუჟეტის ჩართვას, რაც არ იძლევა კონკრეტული მოვლენის საფუძვლიანად აღქმის შესაძლებლობას. თუმცა აღსანიშნავია, რომ ავტორი რეპრესიის მასშტაბების აღსაწერად სტატისტიკურ მონაცემებზე მოგვითხრობს და ღიად საუბრობს რეჟიმის დაუნდობელ პოლიტიკაზე. ავტორი ასევე იყენებს ისეთ ტერმინებს, როგორიცაა “ტროიკა”, თუმცა განმარტება აღნიშნულ სახელმძღვანელოში არ გვხვდება. ასევე არ არის განხილული მათი მუშაობის სპეციფიკა და ძირითადი უფლება-მოვალეობები, განხორციელებული რეპრესიების კონტექსტში. ყოველივე კი ნაკლებად აღქმად მონაკვეთად ტოვებს რეპრესიების პერიოდს.

სახელმძღვანელოში, ისევე როგორც წინა წლების გამოცემებში, არ არის საუბარი გულაგზე - საბჭოთა სადამსჯელო სისტემაზე, სადაც პატიმრები, სასჯელის მოხდასთან ერთად, ასრულებ-დნენ სხვადასხვა მძიმე სამუშაოს.

რეპრესირებულთა საკითხის განხილვისას, თავდაპირველად, საუბარია გასამართლების შემდეგ დახვრეტილებზე (ზინოვიევი, ბუხარინი, ტუხაჩევსკი), ასევე თვითმკვლელებზე (ორჯონიკიძე, ტომსკი), ადამიანებზე, რომლებმაც ციხეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში დალიეს სული (მათი სახელები არ აქვს დასახელებული).

ავტორი ასევე ეხება „ტროიკების“ სასამართლოს, რომ ისინი არ ინდობდნენ ბავშვებს, მოხუცებსა და ქალებს. ავტორის თქმით, „სსრკ–ში რეპრესირებულთა საერთო რაოდენობამ 4 მილიონს გადააჭარბა.“

ავტორი წერს, რომ სსრკ–ში მთავარ ბრალდებებს – „მემარცხენეობა“, და „მემარჯვენეობა“, საქართველოში ორი ახალი ბრალდება დაემატა – „ნაციონალიზმი“ და „შოვინიზმი“, რის შემდეგაც რეპრესირებულთა რაოდენობას განიხილავს – *„სულ ხეპხესიხებულ იქნა 30 000 კაცზე მეტი. თუ გავითვალისწინებთ, ხომ თითოეულ ოჯახში 5–6 სულზე მეტი ითვლებოდა, უნდა დავასკვნათ, ხომ ხეპხესიები თითქმის 200 000 კაცს შეეხო.“*

ისევე როგორც სხვა წლებსა და კლასებში გამოცემულ სახელმძღვანელოში, აღნიშნულ წიგნშიც იმეორებს ავტორი რეპრესირებულთა ვინაობას – მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, სანდრო ახმეტელი, ევგენი მიქელაძე, გრიგოლ წერეთელი, ბიძინა რამიშვილი, ვახტანგ კოტეტიშვილი. კვლავ აღნიშნავს, რომ პაოლო იაშვილმა თავი მოიკლა.

ასევე წერს პარტიის ელიტის განადგურებაზე – ლავრენტი ქართველიშვილი, მამია ორახე-ლაშვილი, სამსონ მამულია, მიხეილ კახიანი, ლევან ღოღობერიძე და სხვ., რითაც პრაქტიკულად იმეორებს მეთერთმეტე კლასის სახელმძღვანელოს მასალას.

შეკითხვათა სტრუქტურასა და ფორმულირებას რაც შეეხება, სახელმძღვანელოში, აღნიშნული თავის ბოლოს, მოცემულია 6 შეკითხვა, რომელთაგან მხოლოდ სამი ეხება რეპრესიებს.

დასასრულს კი ვხვდებით სადისკუსიო შეკითხვას – *„აუცილებელი იყო თუ არა 30–იანი წლების პოლიტიკური რეპრესიები?“* კითხვის ფორმა და შინაარსი, თავის მხრივ, შეიძლება არასწორად ფორმულირებულად ჩაითვალოს, რადგან ავტორი თითქოს უშვებს იმის ალბათობას, რომ ჩადენილ რეპრესიებს გამართლება შეიძლებოდა ჰქონოდა, რაც აუცილებლობით გამოწვეულ ფაქტორად აღქმის პერსპექტივას უტოვებს მოსწავლეებს.

სახელმძღვანელოში ქვეთავის ბოლოს შემოდის ახალი რუბრიკა – ეს საინტერესოა. მასში ავტორს, 30–იანი წლების რეპრესიების საშინელებათა აღსაწერად, ორი ფაქტი მოჰყავს – მაქსიმ გორკიმ, ხელისუფლებისათვის წარსადგენად, სოლოვკების საკონცენტრაციო ბანაკებში რეპრესირებულების უამრავი საჩივარი და განცხადება მოაგროვა. „მოსკოვში დაბრუნებულს ჩემოდნები დაცლილი ჩააბარეს და შიგ მხოლოდ დამსჯელ ორგანოთა მუქარის წერილი იდო, რომლითაც მწერალს „რჩევას“ აძლევდნენ, ასეთ საქმიანობაზე ხელი აეღო და საკუთარ თავზე ეზრუნა. მუქარა საკმაოდ საფუძვლიანი აღმოჩნდა. დიდი მწერალი საეჭვო პირობებში „გარდაიცვალა“.

მეორე ფაქტი მოჰყავს ტიციან ტაბიძის შესახებ, რომელმაც „წამების თავიდან აცილების მიზნით, დაკითხვაზე განაცხადა, “ჩემს მიერ შექმნილი „ანტისაბჭოთა ორგანიზაციის“ წევრი გიორგი სააკაძე არისო, გამოძიებამ ამ უკანასკნელის „საკავშირო ძებნა“ გამოაცხადა.“

აღნიშნულ სახელმძღვანელოში, მიუხედავად წინა წლების გამოცემებთან შედარებით არსებული პროგრესისა, მაინც ნაკლებად შეინიშნება ნარატიულ, ფაქტოლოგიურ მასალათა პროპორციული განაწილება, რაც ანალიტიკური უნარების განვითარებისა და წყაროზე მუშაობის პრაქტიკის განხორციელების საშუალებას სათანადოდ არ იძლევა. ავტორის ტონი საკითხზე საუბრისას სხვა გამოცემებთან შედარებით, შეფასებით ელემენტებს შეიცავს, რაც მცირედით, მაგრამ მტკიცებით ელფერს სძენს განსახილველი თემის შემცველ მასალას.

მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული, საქართველოს ისტორია, IX კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა "არტანუჯი", 2001

გამომცემლობა "არტანუჯის" მიერ გამოცემული მე-9 კლასის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო, მერაბ ვაჩნაძისა და ვახტანგ გურულის ავტორობით, XX საუკუნის 30-იან წლებში განხორციელებულ რეპრესიებთან მიმართებით, ნაკლებად პასუხობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მიზნებს.

რეპრესიების საკითხის განხილვისას, მერაბ ვაჩნაძისა და ვახტანგ გურულის ავტორობით გამოცემულ სახელმძღვანელოში მოცემულია ძალიან მწირი ნარატიული, ფაქტოლოგიური მასალა, რომელიც გამოირჩევა თვისობრივი მახასიათებლების ნაკლებობით. საარქივო დოკუმენტებს, რომლებიც გაამყარებდა, მაგალითად, რეპრესირებულ ადამიანთა ისტორიებს, სამწუხაროდ, სახელმძღვანელოში ვერ ვხვდებით. წიგნში მასალათა სიმცირე აისახება წყაროების რაოდენობაზეც და მხოლოდ ერთ წყაროს ვხვდებით საკვლევი თემის ირგვლივ. ასევე არ არის განხილული რეპრესიების პერიოდთან ასოცირებული ტერმინოლოგია. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, მოსწავლეს არ ეძლევა შესაძლებლობა დაეუფლოს ისტორიული პროცესებისა თუ მოვლენების ანალიზის, შედარებისა და მრავალმხრივი შეფასების უნარს, შეიძინოს და განივითაროს ისტორიის დარგობრივი ენით ოპერირებისა და ისტორიის კვლევისთვის საჭირო უნარები.

სახელმძღვანელოს 22-ე თავი მოიცავს თემას - საქართველო 1925–41 წლებში (გვ. 153–168), მოცემული თავი შედგება 4 პარაგრაფისგან, რომლებიც, თავის მხრივ, რამდენიმე ქვეთავად იყოფა. ერთ-ერთი ქვეთავი ეთმობა 30-იანი წლების პოლიტიკურ რეპრესიებს (გვ. 157–158).

ავტორები ახსენებენ 20–იანი წლებიდან დაწყებულ რეპრესიებს და ამბობენ, რომ მასშტაბები განსაკუთრებით გაიზარდა 30–იანი წლების შუა ხანებში, რასაც სამი მიზეზით ხსნიან:

01 მოსახლეობის ნაწილს, რომელსაც გააჩნდა სოციალიზმის რწმენა, არსებულმა ძალადობამ და უსამართლობამ ის დაუკარგა;

02 თვით ბოლშევიკური პარტიის უმაღლეს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაში გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები სტალინის კურსს;

03 ძველი ინტელიგენცია, რომელიც ინარჩუნებდა შინაგანი პროტესტის განწყობილებას.

ავტორები ამბობენ, რომ სტალინმა და მისმა თანამოაზრეებმა, რეპრესიები დაიწყეს სისტემის გადარჩენის მიზნითა და ძალაუფლების შენარჩუნებისთვის.

ცალკე გამოყოფენ ლავრენტი ბერიას. მის შესახებ წერენ, რომ რეპრესიებს განსაკუთრებული გულმოდგინებით ატარებდა და საქართველოში მიმდინარე რეპრესიებს *„ფაქტობრივად ეროვნულად წყვეტდა“.*

ავტორებს ჩამოთვლილი ჰყავთ რეპრესიების მსხვერპლი საზოგადო მოღვაწეები – მიხეილ ჯავახიშვილი, ევგენი მიქელაძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი და სხვები. არ არის მითითებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია პაოლო იაშვილის თვითმკვლელობის შესახებ.

სახელების გარეშე ავტორები მიუთითებენ, რომ *„ქართული კულტურისა და მეცნიერების ბევრმა გამოჩენილმა წარმომადგენელმა მრავალი წელი გაატარა ციხეებსა და გადასახლებაში“.* გარდა ამისა, ტექსტში ვერ ვხვდებით ინფორმაციას ამ პერიოდისთვის დამახასიათებელ ტერმინოლოგიაზე და საბჭოთა რეჟიმის პერიოდში არსებული გულაგის სისტემაზე.

ინტელიგენციის რეპრესიების აღწერის შემდეგ ავტორები ეხებიან პოლიტიკურ რეპრესიებს: *„პოლიტიკური რეპრესიები მთელი სისასტიკით შეეხო თვით ქართველ ბოლშევიკებს, ხელმძღვანელ პარტიულ და სამეურნეო მუშაკებს. კერძოდ, სიკვდილით დასაჯეს: მიხეილ კახიანი, მამია ოხახელაშვილი, ლევან ღოღობერიძე, ბუდუ მდივანი, მიხეილ ოკუჯავა, სამსონ მამულია და სხვები.“*

მოცემული თავი მდიდარია ფოტომასალით, თუმცა უშუალოდ რეპრესირებულთა პარაგრაფში მხოლოდ ევგენი მიქელაძისა და ვახტანგ კოტეტიშვილის ფოტოებია (გვ.158), მიხეილ ჯავახიშვილი და ტიციან ტაბიძე, რამდენიმე გვერდის შემდეგ, ქვეთავში „მწერლობა“, გვხვდებიან (გვ.162). სანდრო ახმეტელი კი – ქვეთავში „ხელოვნება“ (გვ.166). ეს ფაქტი იმით ვერ აიხსნება, რომ ავტორებს მასალის ფოტოებით გადატვირთვა არ სურდათ, რადგან მაგ. გვ. 167–ზე ექვსი ფოტოა მოცემული. რეპრესირებულები პროფესიულად თუ დაანაწილეს, ევგენი მიქელაძე და ვახტანგ კოტეტიშვილი რატომ არ მოხვდნენ თავიანთ „განყოფილებაში“, გაუგებარია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ რეპრესირებულთა საკითხი ცოტაოდენ მიკარგულია.

თავი ძალზე მწირია წერილობითი წყაროებითა და შეკითხვებით. თავის ბოლოში მოყვანილია მხოლოდ ერთი წყარო – „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის დადგენილება მიხეილ ჯავახიშვილის მწერალთა კავშირიდან გარიცხვის შესახებ” (1937 წლის 17 აგვისტო).

თავი სრულდება სამი შეკითხვით და ერთი დავალებით. აქედან მხოლოდ ერთი შეკითხვა ეხება რეპრესიებს.

სახელმძღვანელოში რეპრესირებულთა თემის განხილვას ეთმობა მხოლოდ ორი გვერდი. ავტორები ნაკლებად ავლენენ შეფასებით დამოკიდებულებას და გამოირჩევიან ნეიტრალური ტონით საკითხის აღწერისას. წინა წლებში გამოცემულ საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებთან შედარებით, მასალა გაცილებით მწირია და შემოიფარგლება მიმოხილვითი ფორმით, რაც ზოგადი წარმოდგენის შექმნის პრაქტიკას ეფუძნება და არ გულისხმობს მოსწავლეთა სრულ ინფორმირებას რეპრესირებულთა საკითხზე. სახელმძღვანელოში მულტიპერსპექტიული მიდგომა, მასალის სიმცირიდან გამომდინარე, ფაქტობრივად, არ ჩანს.

მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული, საქართველოს ისტორია, IX კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა “არტანუჯი”, 2004

მერაბ ვაჩნაძისა და ვახტანგ გურულის ავტორობით 2004 წელს გამომცემლობა “არტანუჯის” მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოში, 2001 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოსთან შედარებით, არაფერი შეცვლილა და იდენტური მასალაა გადმოტანილი.

ფარნაოზ ლომაშვილი, საქართველოს ისტორია, IX კლასი კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „განათლება”, 2004

ფარნაოზ ლომაშვილის ავტორობით გამოცემული საქართველოს ისტორიის მე-9 კლასის სახელმძღვანელო 2000 წელს ასევე მისი ავტორობით გამოცემული სახელმძღვანელოს იდენტურ მასალას შეიცავს.

მერაბ ვაჩნაძე, ვახტანგ გურული, საქართველოს ისტორია, XI კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა “არტანუჯი”, 2004

მერაბ ვაჩნაძისა და ვახტანგ გურულის ავტორობით 2004 წელს გამოცემული საქართველოს ისტორიის მე-11 კლასის სახელმძღვანელო ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მნიშვნელოვან მიზნებს 1930-იან წლებთან და რეპრესიებთან დაკავშირებით ნაკლებად პასუხობს.

რეპრესიების თემასთან დაკავშირებით, სახელმძღვანელოს ავტორები ცდილობენ მოკლე მიმოხილვით შემოიფარგლონ და მხოლოდ მცირე ფაქტოლოგიური ცნობა მიაწოდონ მოსწავლეებს აღნიშნული პერიოდის შესახებ, რაც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მოსწავლეს განუვითარდეს ისტორიული პროცესებისა თუ მოვლენების ანალიზისა და შეფასების უნარი. წყაროთა და დოკუმენტთა სიმცირე აღნიშნულ საკითხთან მიმართებით არ ხდის შესაძლებელს, მოსწავლემ შეიძინოს ისტორიის დარგობრივი ენით ოპერირებისა და ისტორიის კვლევისთვის საჭირო უნარები.

მე-18 თავი - საქართველო XX საუკუნის 20–იანი წლების მეორე ნახევრიდან 40–იანი წლების დამდეგამდე - შედგება ხუთი პარაგრაფისგან. აქედან მესამე პარაგრაფი მოიცავს ჩვენს საკვლევ თემას - პოლიტიკურ რეპრესიებს 30-იან წლებში.

სახელმძღვანელოში ავტორები საუბარს იწყებენ 20–იანი წლების ვითარების აღწერით. წერენ, რომ სტალინის მიერ შექმნილი მოდელი განსხვავდებოდა ტრადიციული სოციალიზმისგან, რასაც ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. „პოლიტიკური რეპრესიები სტალინმა 1927 წლიდან დაიწყო. 1927–34 წლებმა სტალინსა და მის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს შორის დაძაბულ ბრძოლაში ჩაიარა. 1934–38 წლებში სტალინმა სხვადასხვა მიზეზით ფიზიკურად გაანადგურა ან ციხეებსა და გადასახლებაში გაგზავნა მისი ყველა ცნობილი პოლიტიკური მოწინააღმდეგე“. ავტორების თქმით, რეპრესიებს შეეწირა პოლიტიკისგან შორს მდგომი ადამიანები, განსაკუთრებით კი ინტელიგენცია.

სახელმძღვანელოს ავტორები საქართველოში გატარებულ რეპრესიებს ლავრენტი ბერიას სახელს უკავშირებენ, თუმცა ამატებენ, რომ ის მოსკოვში შემუშავებული გეგმის მიხედვით მოქმედებდა, შესაბამისად, უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა ძველი ბოლშევიკების განადგურება და რამდენიმე მაგალითიც მოჰყავთ (სხვა სახელმძღვანელოებთან შედარებით სია ცოტა უფრო ვრცელია): მიხეილ კახიანი, მამია ორახელაშვილი, ლავრენტი ქართველიშვილი, ლევან ღოღობერიძე, ბუდუ მდივანი, მიხეილ ოკუჯავა, სამსონ მამულია, შალვა ელიავა. იქვე ამატებენ, რომ რეპრესიებს გადარჩენილი ძველი ბოლშევიკები (მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე და სხვ.) თითქმის აღარავითარ როლს აღარ თამაშობდნენ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მერაბ ვაჩნაძისა და ვახტანგ გურულის ავტორობით გამოცემულ წინა წლების მე-9 კლასის სახელმძღვანელოებში საუბარია, რომ ლავრენტი ბერია საქართველოში მიმდინარე რეპრესიებს "ფაქტობრივად ერთპიროვნულად წყვეტდა", აღნიშნულ სახელმძღვანელოში კი ავტორები ავითარებენ აზრს, რომ ბერია მოსკოვში შემუშავებული გეგმის მიხედვით მოქმედებდა. გაუგებარია ავტორთა დამოკიდებულებისა და შეფასების ფორმის ცვლილების მიზეზი. ეს დამაბნეველ ფონს ქმნის მოსწავლეთათვის ეპოქის სწორი კონტექსტით აღსაქმელად.

ავტორები წერენ, რომ რეპრესიები არ იყო ერთჯერადი და პერმანენტულად მიმდინარეობდა, რასაც ის ადამიანებიც კი ეწირებოდნენ *„ჰომეღთაც წინა წღებში მჰავაღი უდანაშაუღო ადამიანი თავად დასაჯეს სიკვდიღით."*

შემდგომ ახსენებენ რეპრესიებს შეწირულ ინტელიგენციის წარმომადგენლებს: მიხეილ ჯავახიშვილი, ევგენი მიქელაძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, ტიციან ტაბიძე, ალექსანდრე (სანდრო) ახმეტელი. პაოლო იაშვილმა თავი მოიკლა, მრავალმა ციხეებსა და გადასახლებაში დალია სული (არ ასახელებენ). ასევე ცალკე კატეგორიად გამოყოფენ იმ ადამიანებს, რომლებიც *„მახთაღია, ფიზიკუჰ განადგუჰებას გადაუჰჩნენ, მაგჰამ უმძიმეს მოჰაღუჰ–ფსიქოღოგიუჰ ატმოსფეჰოში აღმოჩნდნენ და მჰავაღი ტანჯვა–წამება გამოიახეს – ივანე ჯავახიშვიღი, შაღვა ნუცუბიძე, ვუკოღ ბეჰიძე, სიმონ ყაუხჩიშვიღი, ნიკო ღოჰთქიფანიძე, კონსტანტინე გამსახუჰდია და სხვები."*

აღნიშნულ სახელმძღვანელოშიც ვერ ვხდებით დეტალურ ცნობას რეპრესირებულ პირთა ბრალდებებისა და განაჩენის შესახებ. ასევე რეპრესირებულთა ჩამონათვალში არ ფიგურირებს მშრომელი ფენა (ე.წ. "კულაკები"), გულაგის სისტემა და ამ პერიოდში დამკვიდრებული სხვა ტერმინები. ასევე ვერ ვხდებით ინფორმაციას ე.წ. "განსაკუთრებული სამეულის" შესახებ. ავტორები რეპრესიების ზოგად კონტექსტში შეფასებისას არ იყენებენ მტკიცებით ელემენტებს, მაგალითად, წყაროს ან საარქივო დოკუმენტს.

ბოლოს, დასკვნის სახით, აღნიშნავენ, რომ საზოგადოებას, გარდა ფიზიკური მსხვერპლისა, უდიდესი მორალურ–ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენეს, დამკვიდრდა შიშისა და უნდობლობის ატმოსფერო.

თავში წარმოდგენილია ფოტომასალა, ძალზე მწირი დოკუმენტური მასალით – მხოლოდ ერთი დანართი აქვს (ბერიას მოხსენება თსუ–ს შესახებ, 1928 წ.), ასევე მწირია შეკითხვებითაც. ბოლოში დართული აქვს მხოლოდ 4 შეკითხვა, აქედან მხოლოდ ერთი ეხება რეპრესიებს, ისიც ნაწილობრივ: *„მოსახღეობის ჰომეღი სოციაღუჰი ფენა წაჰმოადგენდა საბჭოთა ხეღისუფღების ყვეღაზე სეჰიოზუღ ოპოზიციუჰ ძაღას XX საუკუნის 20–30–იან წღებში?"*

სულ ბოლოს კი დავალების სახით (წერილობითი თუ ზეპირი - არ ჩანს) დასმულია შემდეგი კითხვა: *"თქვენი აზჰით, ჰეპჰესიების გაჰეშე შესაძღებეღი იქნებოდა თუ აჰა XX საუკუნის 20–30–იან წღებში საბჭოთა ხეღისუფღების შენაჰჩუნება?"*

სახელმძღვანელოში XX საუკუნის 30-იან წლებში განხორციელებულ რეპრესიებს მცირე ადგილი ეთმობა. ასევე აღსანიშნავია ავტორთა მიერ მწირი ნარატიული და ფაქტოლოგიური მასალის გამოყენება რეპრესიის მსხვერპლთა კონკრეტიზაციის პროცესში. ავტორები მოკლე ჩანართებით ცდილობენ კრიტიკული შეფასებით აღწერონ რეპრესიების სისასტიკე, რაც არ არის საკმარისი აღნიშნული ეპოქის მანკიერი მხარეების საილუსტრაციოდ. სახელმძღვანელოში ასევე ვერ

ვხვდებით ინფორმაციას დასმენის მეთოდების, რეპრესირებულთა საბრალდებო დასკვნისა და განაჩენის შესახებ. ავტორები მინიმალისტურ მიდგომას ავლენენ საკითხთა გაშლის თვალსაზ-რისითაც.

ნინო კვიტაიშვილი, დავით მალაზონია, თამარ მალაზონია, საქართველოს ისტორია, IX კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა „ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“, 2008

“ქართული ბიოგრაფიული ცენტრის” მიერ 2008 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში ვხვდებით თემას - საქართველო XX საუკუნის 20–40–იან წლებში. ჩვენს განსახილველ თემას შეესაბამება აღნიშნული თემის მე-3 და მე-4 პარაგრაფი. მოცემული პარაგრაფები მდიდარია ფოტომასალით, პირველადი და მეორეული წყაროებით. ახლავს რთული და უცხო სიტყვათა განმარტებები, რუბრიკა – ეს საინტერესოა. მდიდარია შეკითხვებით, რომლებიც კარგად ეხმიანება გაკვეთილის მასალას, განთავსებულია შესაბამის მონაკვეთებში და აზროვნებისათვის (ძირითადად) სწორ მიმართულებას იძლევა.

იმის გათვალისწინებით, რომ საბაზო საფეხურზე “მოსწავლეს უნდა ჩამოუყალიბდეს ისტორიული აზროვნების უნარი: შეძლებისდაგვარად უნდა შეეძლოს ისტორიული მოვლენის მიზეზების ახსნა და მისი შედეგების გაანალიზება; ისტორიული პროცესის სხვადასხვა კუთხით დანახვა; ისტორიულ მოვლენაზე და პიროვნებაზე განსხვავებული ინტერპრეტაციების არსებობის მიზეზების დადგენა, განსხვავებული ახსნა-განმარტებების შედარება და შეფასება...”, სახელმძღვანელო მეტნაკლებად პასუხობს აღნიშნულ ჩამონათვალს. თუმცა გარკვეული ფაქტოლოგიური მასალა, რომელიც ნათლად დაანახებდა მოსწავლეს საბჭოთა რეჟიმის სისასტიკეს, იმას თუ როგორ არ ინდობდა სისტემა საზოგადოების არცერთ ფენას (მაგ., პოლიტიკური ელიტას, შეძლებულ გლეხობას), წიგნში არ გვხვდება. ავტორები მხოლოდ ჩამონათვალით შემოიფარგლებიან და არ აკონკრეტებენ მათი საბრალდებო დასკვნებისა და განაჩენის გარშემო ინფორმაციას.

მე-3 პარაგრაფში პირველივე აბზაცით ავტორები ნათლად ხატავენ რეპრესიების სისასტიკეს: *„1937 წელი საბჭოთა კავშირის ისტორიაში ხელისუფლების, შიშისა და ტერორის პერიოდად ხასიათდება. განუკითხავი დაპატიმრება, გადასახლება და დახვრეტა საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. 1937 წელს საბჭოთა კავშირში დაპატიმრებულთა რაოდენობამ 820 881–ს მიაღწია. მხოლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებმა ოქტომბრის თვეში 12 000 კაცზე მეტი დააპატიმრეს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი საპატიმროებშივე დახვრიტეს.“*

მომდევნო ნაწილში ავტორები რეპრესიების დაწყების მიზეზად საერთაშორისო ვითარებას ასახელებენ – გერმანიის გაძლიერება, დასავლეთის სურვილი - გერმანია სსრკ–ს წინააღმდეგ გამოეყენებინა, ომის მოლოდინი, რომელსაც სჭირდებოდა მშრომელთა მობილიზება, რკინისებური დისციპლინა (რომელსაც *“ახლვევდა უცხოეთის აგენტურა”), კონტრრევოლუციონერები. ავტორები აქვე ასახლებენ ახალ ცნებას „ხალხის მტერი“ – „ხალხის მტერი შეიძლებოდა ყოფილიყო სახელმწიფო მოხელე, ინტელიგენტი, მუშა, ამიტომ ხელისუფლები ყოველისმომცველი აღმოჩნდა და საზოგადოების ყველა ნაწილს შეეხო. აქვე მოჰყავთ ხელისუფლებულთა რამდენიმე პიროვნული მაგალითი.*

ზემოაღნიშნულ ნაწილს მოჰყვება რამდენიმე ამონარიდი გაზეთ „კომუნისტიდან“, რომლებშიც საუბარია მავნებლობის მიზნით ფაბრიკა–ქარხნების ცუდად აშენებაზე.

ამონარიდებში იხსენებენ საზოგადოებაში გაბატონებულ შიშს, მაგ. ვ. კიკნაძე (არ არის მითითებული, ვინ არის ეს პიროვნება) წერს - *“ეთმა ნაცნობმა მითხა: როცა დამაპატიმრეს შვება ვიგრძენი, დაჭერის მოლოდინი ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო.“*

მე-4 პარაგრაფს ავტორები იწყებენ უმთავრესი სადამსჯელო უწყების, განსაკუთრებული სამეულის, ე.წ. „ტროიკის“ შექმნით, რომელსაც საქმე უნდა განეხილა, რასაც სასტიკი წამებით აღწევდნენ. იქვე აღნიშნულია, რომ “ტროიკას” ევალებოდა სიკვდილმისჯილთა დახვრეტაც. ქვემოთ ავტორებს წყაროს სახით მოჰყავთ რეპრესირებულთა მოგონებებიდან ნაწყვეტები. აქ საინტერესოა, რომ ორივე მხარის თვალსაზრისია ნაჩვენები. მაგ. გამომძიებელი ხაზანი: *„ყველა საშუალება უნდა გვეხმახა, ვიდრე დანაშაულს ახ აღიარებდნენ.“* უფრო საინტერესოა რეპრესირებულ თ. ვესტევას ჩვენება, რომელიც მანამდე თვითონ იყო ჯალათი და დაწვრილებით აღწერს, თუ რა სასტიკად აწამებდნენ პატიმრებს.

მომდევნო ორ ამონარიდში რეპრესირებულების მიერ წამების გაუსაძლისობაზეა აქცენტი. ერთ–ერთი იხსენებს კიდეც: *„ნუხავის განიკითხავთ, ხადგან წამების დროს ორი უკიდურესობა ემახთება ადამიანს, ან ყველაფერს ფქვავს, ტყუილსა და მახთალს, ან სპაზმი ემახთება და ვერაფერს ამბობს“.*

შემდეგ მოჰყვება ორი კითხვა, რომელშიც პირველი „სამეულის“ საბრალდებო დასკვნის კანონიერებასა და ობიექტურობაზე ეკითხება მოსწავლეს. ხოლო მეორე კითხვის ფარგლებში, მოსწავლეებმა უნდა შეაფასონ ახლობლების გაცემა, რომელიც ხშირად უზნეო საქციელად ფასდებოდა. კითხვებს მოჰყვება საუბარი ინტელიგენციის შევიწროებაზე, დაწყებულ რეპრესი-ებზე. ამ კონტექსტში ნახსენებია რამდენიმე სახელი – ტიციან ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, სანდრო ახმეტელი (სამივეს ფოტოა დართული) და ევგენი მიქელაძე (ფოტოს გარეშე).

მომდევნო რუბრიკაში – “ეს საინტერესოა” – მოყვანილი ინფორმაცია მიხეილ ჯავახიშვილისა და ბერიას ურთიერთობის შესახებ – ჯავახიშვილი, ბერიას დანახვაზე, აივნიდან როგორ სასწრაფოდ შედიოდა ოთახში და ამით თითქოს უფრო რომ გადაიმტერა. აქვე ნახსენებია მეტეხის დანგრევისგან გადასარჩენად როგორ შედგა დელეგაცია, რომლის ყველა წვერი, მათ შორის ჯავახიშვილი, დააპატიმრეს. შემდგომში კი მიხეილ ჯავახიშვილი დახვრიტეს. აღნიშნული მასალა სახელმძღვანელოში გვხვდება წყაროს მითითების გარეშე.

ზემოთ მოყვანილ ინფორმაციას კითხვა მოსდევს – *ხატომ ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებით აქტიურად ინტელიგენციას?* – რაც რეალობის მხოლოდ ფრაგმენტულ ასპექტს ასახავს.

პარაგრაფის ბოლო ნაწილი ავტორთა ტექსტის მხოლოდ რამდენიმე ხაზს შეიცავს, დანარჩენი ტექსტი – წყაროები და შეკითხვებია. აქ საუბარია გადასახლებულების შრომის გამოყენებაზე, წყაროებში ნაჩვენებია, თუ რა მძიმე პირობებში უწევდათ მათ შრომა. მოყვანილია უცნობი სტუდენტის წერილი ივანე ჯავახიშვილისადმი, რომელშიც ის ჩივის, რომ სტალინმა არ იცის უდანაშაულო ხალხის გადასახლებაზე და სთხოვს ივანეს, რომ ხმა მიაწვდინოს მას. ქვემოთ მოყვანილი ერთი შეკითხვა სწორედ ამ დამოკიდებულების ახსნას ცდილობს.

აქვე მოცემულია დავალება – *„მისწერე წერილი სტუდენტებს და განუმარტე მათ, ხატომ იყვნენ ისინი დაპატიმრებული და შემდეგ გადასახლებული?“*

ბოლო ნაწილში კი საუბარია 1938 წლისათვის ხელისუფლების მიერ რეპრესიების შენელებაზე. მოყვანილია პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება – *პარტიის შენიღბული მტრები, „სიფხიზლის“ საბაბით, ბრალს სდებენ და დევნიან პატიოსან კომუნისტებს.*

ბოლო აბზაცში მხოლოდ რამდენიმე სიტყვით წერია, ყოველგვარი სახელების გარეშე, რომ 1938 წელს რეპრესიები დაიწყო მათ წინააღმდეგ, ვინც მანამდე თვითონ აწყობდა რეპრესიებს.

აღნიშნულ სახელმძღვანელოში XX საუკუნის 30-იან წლებში განხორციელებულ რეპრესიებთან მიმართებით, ავტორების ტექსტს მოცულობის მხრივ სჭარბობს გამოყენებული წყაროები. ავტორთა თხრობა, ძირითადად, მოიცავს ფაქტების, კონკრეტულ მოვლენათა მოკლე აღწერას და შემდგომში შესაბამისი წყაროებით გამყარებას. მიუხედავად იმისა, რომ ავტორები ნაკლებად იყენებენ შეფასებით ნიუანსებს, ერთეულ შემთხვევებში მაინც ავითარებენ საკუთარ დამოკიდებულებას. ავტორთა მოწოდებული წყაროები საკმაოდ მრავალფეროვანია, რაც მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს გაეცნოს როგორც მსხვერპლის, ასევე დამსჯელთა ნარატივებს, რომლებიც შემდეგ თავად აღმოჩნდნენ რეპრესირებულნი. აღნიშნული მასალები, მულტიპერსპექტიული მიდგომის გამოყენებით, მოსწავლეს საშუალებას აძლევს, სხვადასხვა კუთხით შეაფასოს ესა თუ ის მოვლენა.

ოთარ ჯანელიძე, აპოლონ თაბუაშვილი, ლერი თავაძე, ნანა ირემაშვილი, საქართველოს ისტორია, IX კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა "კლიო", 2012

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2012 წელს გამოცემული **ბრძანების მიხედვით**, გრიფირება მიენიჭა გამომცემლობა "კლიოს" მე-9 კლასის **საქართველოს ისტორიის სახელ-მძღვანელოს.** წიგნში განხილულია საქართველოს ისტორია უძველესი ხანიდან XXI საუკუნის დასაწყისის ჩათვლით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2011-2016 წლის სასწავლო გეგმის მიხედვით, საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ცოდნა არის მოსწავლის პატრიოტად და პოლიტიკურად განათლებულ მოქალაქედ ჩამოყალიბების წინაპირობა. აღნიშნული გეგმის თანახმად, საბაზო საფეხურზე "მოსწავლეს უნდა ჩამოუყალიბდეს ისტორიული აზროვნების უნარი: შეძლებისდაგვარად უნდა შეეძლოს ისტორიული მოვლენის მიზეზების ახსნა და მისი შედეგების გაანალიზება; ისტორიული პროცესის სხვადასხვა კუთხით (პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური) დანახვა; ისტორიულ მოვლენაზე და პიროვნებაზე განსხვავებული ინტერპრეტაციების არსებობის მიზეზების დადგენა, განსხვავებული ახსნა-განმარტებების შედარება და შეფასება. ისტორიული წყაროების მოძიება, ისტორიული მასალის (ისტორიული წერილობითი წყაროები, არქეოლოგიური თუ ეთნოგრაფიული მასალა, ისტორიულ თემაზე შექმნილი მხატვრული ნაწარმოებები, ფოტოსურათები და ა.შ.) შედარება და ანალიზი; ისტორიული თემის დაწერა; ისტორიულ თემაზე გამართულ დებატებში მონაწილეობა."

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2011-2016 წლის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გათვალისწინებულ სწავლა-სწავლების მიზნებს 1930-იან წლებსა და პოლიტიკურ რეპრესიებზე საუბრის ნაწილში აღნიშნული სახელმძღვანელო ნაწილობრივ პასუხობს.

სახელმძღვანელოს ავტორები მოკლედ ეხებიან XX საუკუნის 30-იან წლებში მიმდინარე რეპრესიებს. შემოიფარგლებიან ფაქტების მოკლე აღწერით და ნაკლებად იყენებენ წყაროებს ამა თუ იმ მოვლენების საილუსტრაციოდ თუ განსამტკიცებლად. რეპრესირებულ პირებთან მიმართებით კი მხოლოდ მოკლე ჩამონათვალს ვხვდებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, რეპრესიებზე საუბრის ნაწილში, აღნიშნული სახელმძღვანელო სათანადოდ ვერ პასუხობს მიზნებს, რომელიც უკავშირდება ისტორიული მოვლენის მიზეზების ახსნასა და მისი შედეგების გაანალიზებას, ისტორიული პროცესის სხვადასხვა კუთხით დანახვას, ისტორიულ მოვლენასა და პიროვნებაზე განსხვავებული ინტერპრეტაციების არსებობის მიზეზების დადგენასა და განსხვავებული ახსნა-განმარტებების შედარებას.

სახელმძღვანელოში რეპრესიების საკითხს ეთმობა თემა - "პოლიტიკური რეპრესიები XX საუკუნის 20-30-იან წლებში", რომელიც წიგნის მხოლოდ 3 გვერდს მოიცავს.

ავტორები, რეპრესიების საკითხის განხილვისას, მთავარ კითხვად მიიჩნევენ თუ *"ხატომ შეეხო 1920-1930-იან წლებში პოლიტიკური ხეპხესიები საზოგადოების ყველა ფენას"*. აღნიშნული თემის ირგვლივ კი საკვანძო სიტყვებად გამოყოფილი აქვთ შემდეგი: წმენდა, კონფისკაცია, კანონგარეშე, გულაგი.

სახელმძღვანელოში რეპრესიების საკითხზე საუბარი იწყება ზოგადი მიმოხილვით. ავტორებს მიაჩნიათ, რომ ***"საბჭოთა ხეჟიმის ყველა მიღწევას აფეხმკოთაღებდა ხეპხესიები, ხომღებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით პეხიოდუღად ხოხციეღდებოდა და უამხავი ადამიანის სიცოცხღე შეიწიხა."***

აღსანიშნავია, რომ "საბჭოთა რეჟიმის მიღწევებთან" მიმართებით, ავტორებს დაკონკრეტებული არ აქვთ, თუ რას გულისხმობენ. შესაბამისად, აღნიშნული კონტექსტი არ იძლევა საშუალებას, მოსწავლეს შეექმნას წარმოდგენა, თუ რასთან მიმართებით იყენებენ აღნიშნულ შეფასებას. მით უმეტეს, სადავოა, მიღწევად რამდენად შეიძლება ჩაითვალოს (ჰუმანურობის ფაქტორით) ნებისმიერი ეკონომიკურ-ინფრასტრუქტურული წინსვლა, როდესაც ეს ყოველივე ადამიანთა უფლებებისა და სიცოცხლის ხელყოფის ფასად მიიღწეოდა.

რეპრესიების მოტივების განხილვისას კი აღნიშნავენ, რომ *"მასობხივი ხეპხესიები ქვეყანაში ხან სოციაღუხი მოტივით (კაზაკობის ღიკვიდაცია,[6] სამღვდეღოების დევნა-შევიწხოება, კუღაკობის განადგუხება), ხან ეკონომიკუხ ნიადაგზე (კეხძო საკუთხების გაუქმება, მიწების კონფისკაცია, მხეწვეღობის ნაციონაღიზაცია), ხან პოღიტიკუხი მიზნით (ბხძოღა ძაღაუფღების შენახჩუნებისათვის, დაპიხისპიხება მოწინააღმდეგე პოღიტიკუხ ძაღებთან და თვით ბოღშევიკუხი პაჩტიის შიგნით) და ხანაც ეთნიკუხი ნიშნით წაჩმოებდა."*

წიგნის ავტორები საუბარს აგრძელებენ 1922-23 წლებში სამღვდელოებისა და მართლმადიდებელი ეკლესიის ბედზე და თვალსაჩინოებისთვის მოყვანილი აქვთ სტატისტიკა ეკლესიების დანგრევისა და გაუქმების შესახებ, ასევე სასულიერო პირების რეპრესიების შედეგებზე: *"მაჩტო 1922-1923 წღებში დაანგჩიეს ან გააუქმეს 1500 მოქმედი ტაძაჩი. ავიწჩოებდნენ, აპატიმჩებდნენ და აბუჩად იგდებდნენ კუღტის მსახუჩებს, უხეშად შეუჩაცხყოფდნენ ეჩოვნუღ ტჩადიციებს. საქაჩთვეღოში მოღვაწე 1600 სასუღიეჩო პიჩისგან, 1923 წღისათვის მხოღოდ 500 დაჩჩა".*

წყაროს სახით მოცემულია ამონარიდი საქართველოს კომპარტიის ქუთაისის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებიდან და ქუთაისის მაზრის პოლიტბიუროს პასუხისმგებელი რწმუნებულის თანაშემწის განაჩენიდან, რომელიც ასახავს საბჭოთა რეჟიმის ბრძოლას რელიგიის წინააღმდეგ. საილუსტრაციოდ კი, წყაროს დართული აქვს ფოტო - "ზარის ჩამოგდება ეკლესიის სამრეკლოდან".

სადამსჯელო ღონისძიებების საწყის ნიშნულად სახელმძღვანელოში 1921 წელი სახელდება, ხოლო თავისი მასშტაბით უპრეცედენტოდ - 1937-38 წლებში განხორციელებული რეპრესიები. რეპრესიების მასშტაბზე საუბრისას მოკლედაა განხილული მსხვერპლთა მაიდენტიფიცირებელი კრიტერიუმები და მეთოდები: *"პიჩველი იეჩიში ანტისაბჭოთა პაჩტიებზე განხოჩციეღდა, ჩასაც მათი ნაწიღის ემიგჩაციაში გახიზვნა, სხვების ჩეპხესიჩება და საზოგადოებჩივ-პოღიტიკუხი ცხოვჩებიდან გაჩიყვა მოჰყვა... საბჭოთა ხეღისუფღებამ დანეჩგა უჩთიეჩთმხიღების, ჯაშუშობის, შიშისა და ფსიქოზის ატმოსფეჩო. სხვათა უსაფუძვღო დასმენა და ციღისწამება დასაძჩახ მოვღენად კი აჩ აღიქმებოდა, აჩამედ "სოციაღიზმის სადაჩაჯოზე" დგომად, პიჩოვნების "ჩევოღუციუხ სიფხიზღედ", მოსაწონ და საპატიო საქმედ მიიჩნეოდა."*

[6] კაზაკების რეპრესიები (ე.წ. Расказачивание) ძირითადად 1920-იან წლებში, ე.წ. "წითელი ტერორის" დროს მიმ-დინარეობდა.

სახელმძღვანელო მოკლედ გვაწვდის ინფორმაციას 1937-38 წლებში განხორციელებული "დიდი ტერორის" შემოქმედთა, მსხვერპლთა და ბრალდების ნაირსახეობათა შესახებ: *"ჰეპჰესიები კჰემღიდან იმახთებოდა. იქ განისაზღვჰებოდა დასახვჰეტ-დასაპატიმჰებელთა ჰაოდენობა და ზოგიეჰთ შემთხვევაში ვინაობაც. თუმცა მსგავსი გადაწყვეტიღებები ცაღკეუღ ჰესპუბღიკებშიც შეუზღუდავად მიიღებოდა. საქაჰთველოში პოღიტიკუჰი ჰეპჰესიები ძიჰითადად დაკავშიჰებუღია ღავჰენტი ბეჰიას სახელთან, ჰომელსაც 1931 წღიდან საქაჰთველოს კპ(ბ) ცკ-ის პიჰველი მდივნისა და ამიეჰკავკასიის სამხაჰეო კომიტეტის პიჰველი მდივნის თანამდებობა ეკავა. საქაჰთველოს კომუნისტუჰი პაჰტიის ჰიგებში ჰამდენჯეჰმე ჩატაჰდა „წმენდა". დახვჰიტეს ცნობიღი ქაჰთველი ბოღშევიკები, ჰომელთა ადგიღზეც ი. სტაღინის ეჰთგუღი ახაღგაზჰდა კადჰები დააწინაუჰეს. ჰეპჰესიები თავს დაატყდა სამეუჰნეო სფეჰოსა თუ სამხედჰო საქმის სპეციაღისტებს, პჰოფესოჰ-მასწავლებღებს, სტუდენტობას, ღიტეჰატუჰის, ხელოვნების, კუღტუჰის მუშაკებს, ათასობით ჰიგით ადამიანს. დაპატიმჰებუღებს წამებით აიძუღებდნენ, მიეცათ ძიებისათვის სასუჰველი აღიაჰებითი ჩვენება, ხელი მოეწეჰათ დაკითხვის ყაღბ ოქმებზე, უდანაშაუღო ადამიანებისათვის დაებჰაღებინათ კონტჰჰევოღუციონეჰობა, მავნებღობა, ტეჰოჰისტუღ აქტებში მონაწიღეობა, სხვა ათასგვაჰი, ხშიჰად სჰუღიად უსაფუძვღო ბოჰოტება."*

წყაროს სახით მოცემულია ნაწყვეტი საქართველოს მწერალთა ფედერაციის[7] სხდომის ოქმიდან კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ. ოქმში კ. გამსახურდია მოხსენიებულია რეაქციონერ-შოვინისტად და ანტისაბჭოთა მწერლად, რომელიც *"...განუწყვეტღად იბჰძვის მბატვჰუღი პჰოდუქციით და ზეპჰი გამოსვღებით ფეოდაღიზმის, თავადაზნაუჰუღი იდეოღოგიის, შოვინიზმისა და „შავი ჩოხის" ტჰადიციის დასაცავად. თავისი გამოსვღებით მან ახაეჰთხეღ საბჭოთა საზოგადოებჰიობის ზიზღი და სიძუღვიღი დაიმსახუჰა. ხსენებუღი გაუსწოჰებეღი ჰეაქციონეჰი მწეჰაღი ღღევანდეღობისათვის პოღიტიკუჰად მავნე მბატვჰუღ ნაწაჰმოებებს აქვეყნებს."*

რეპრესიების მსხვერპლთა განხილვისას, სახელმძღვანელოს ავტორებს მოხსენიებული ჰყავთ რამდენიმე ქართველი საზოგადო მოღვაწე, რომელიც შეეწირა 1937-38 წლებში განხორციელებულ მასშტაბურ რეპრესიებს და რომელთა მიმართაც განსაკუთრებით სასტიკი იყო რეჟიმი: *"მიხეიღ ჯავახიშვიღი, პოეტი ტიციან ტაბიძე, ჰეჟისოჰი სანდჰო ახმეტეღი, მუსიკოსი და ღიჰიჟოჰი ევგენი მიქეღაძე, სწავლუღები გჰიგოღ წეჰეთეღი, ვახტანგ კოტეტიშვიღი და მჰავაღი სხვა. პჰოტესტის ნიშნად პოეტმა პაოღო იაშვიღმა საქაჰთველოს მწეჰაღთა კავშიჰის შენობაში თავი მოიკღა."*

წიგნში ასევე მოკლედაა საუბარი საპატიმროებსა და გულაგის საკონცენტრაციო ბანაკებზე, სადაც *"ყოფნა 12 ათას საქაჰთველოს მოქაღაქეს მიესაჯა. ხანგჰძღივი გადასახღებიდან სამშობღოში დაბჰუნება მხოღოდ უმნიშვნეღო ნაწიღმა შეძღო. ი. სტაღინის გაჰდაცვაღების შემდეგ კომუნისტუჰმა პაჰტიამ პოღიტიკუჰი ჰეპჰესიების პჰაქტიკა დაგმო და მსჯავჰდებუღთა უმეტესობა ჰეაბიღიტჰებუღ იქნა."* საილუსტრაციოდ კი გამოყენებულია გულაგის ერთ-ერთი ბანაკის ფოტოსურათი.

[7] "მწერალთა ფედერაცია" ეწოდებოდა მწერალთა ფორმალურ გაერთიანებას საქართველოში 1932 წლამდე. 1932 წლის 23 აპრილის დადგენილების საფუძველზე, გაუქმდა იქამდე არსებული „სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაცია" და ორგანიზაციას ეწოდა საქართველოს სსრ მწერალთა კავშირი.

დასკვნის სახით, სახელმძღვანელოს ავტორები მოკლედ აღწერენ მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში განხორციელებული რეპრესიების შედეგებს: *"ჰეპჰესიებმა სეჰიოზუღი ზიანი მიაყენა საქართველოს. ადამიანთა მჰავაღჰიცხოვანი მსხვეჰპღის გაჰდა, ხაღხმა უდიდესი მოჰაღუჰ-ფსიქოღოგიუჰი ტჰავმა მიიღო. 1937 წელი - საბჭოთა ტეჰოჰისა და ჰეპჰესიების აპოგეის წელი, შავ თაჰიღად შევიდა საქართველოს ისტოჰიაში. იგი აღიქმება, ჰოგოჰც ტოტაღიტაჰუღი ჰეჟიმის ყველა საშინელებათა სიმბოღუჰი გამოხატუღება."*

თემის - "პოლიტიკური რეპრესიები XX საუკუნის 20-30-იან წლებში", დასასრულს, დამატებით საინტერესო ინფორმაციის სახით, წიგნის ავტორები მოსწავლეებს აწვდიან ცნობას შავჩოხოსნების შესახებ, რომლებმაც, ემიგრანტი მოღვაწის აკაკი პაპავას გადმოცემით, საბჭოთა რეჟიმის მიმართ შეუგუებლობა ორიგინალური ფორმით გამოხატეს - ერთ-ერთ საბჭოთა დღესასწაულზე შავი ჩოხები ჩაიცვეს და ქალაქის ქუჩებში ისე გავიდნენ. *"ახაღგაზჰიდები ღემონსტჰაციუღად აგტაჰებდნენ შავ ჩოხებს საქართველოს თავისუფლების გღოვის ნიშნად და ეჰოვნუღობის ეჰთგუღების ხაზგასასმეღად."* შავჩოხოსანთა რიგებში შედიოდნენ: კონსტანტინე გამსახურდია, ვახტანგ კოტეტიშვილი, ალექსანდრე აბაშელი და პავლე ინგოროყვა.

სახელმძღვანელოში ვხვდებით 4 დავალებას (კითხვის ფორმით) და მხოლოდ ერთი სიტყვის - გულაგის განმარტებას.

აღნიშნულ სახელმძღვანელოში რეპრესიების პერიოდის აღსაწერად გადმოცემული ნარატიული მასალა მოცულობის მხრივ სჭარბობს წყაროთა რაოდენობას. ავტორები ფრთხილ შეფასებით დამოკიდებულებას ავლენენ აღნიშნული პერიოდის მიმართ და ცდილობენ ფაქტოლოგიურ მასალას გაუსვან ხაზი. რეპრესირებულ პირებთან მიმართებით კი, ნაკლები სიმძაფრითაა აღწერილი ქართველი საზოგადო მოღვაწეების რეპრესიის საკითხი. ავტორები მხოლოდ მწირი ჩამონათვალით შემოიფარგლებიან და არ გვაწვდიან ინფორმაციას ბიოგრაფიული ცნობების, ბრალდებისა და განაჩენის შესახებ. სახელმძღვანელოში ასევე ვერ ვხვდებით საარქივო დოკუმენტებს, რომლებიც გადმოსცემდა საბჭოთა რეჟიმის სისასტიკეს და უსაფუძვლო, ხშირად არარსებულ ბრალდებებს შეწირულ ადამიანთა ბედს. აღსანიშნავია, რომ ყოველივე კიდევ უფრო განამტკიცებდა ცოდნასა და სოლიდარობის განცდას რეპრესირებულ პირთა მიმართ. სახელ-მძღვანელოში ნახსენებიც კი არ არის დახვრეტისა თუ გადასახლების განაჩენის გამომტანი ორგანო - ე.წ. "ტროიკა". ასევე მწირი, ნაკლებად მიზნობრივი მასალაა მოყვანილი წყაროების სახით. შესაძლებელი იყო წყაროთა შერჩევის კრიტერიუმების კლასიფიცირება, პრიორიტეტად ქცევა და რეპრესიის საკითხის უკეთ აღსაქმელად, გაცილებით ინფორმაციული, რეპრესიის სისასტიკის გამომხატველი მასალის გამოყენება. ყოველივე მოსწავლეს მულტიპერსპექტიული მიდგომების ძირეული პრინციპების პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მისცემდა.

ნინო კიღურაძე, რევაზ გაჩეჩილაძე, გიორგი სანიკიძე. ისტორია. XII კლასის სახელმძღვანელო. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა. 2012

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2011-2016 წლის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გათვალისწინებულ სწავლა-სწავლების მიზნებს 1930-იან წლებში განხორციელებული რეპრესიების განხილვის თვალსაზრისით აღნიშნული სახელმძღვანელო ნაკლებად პასუხობს.

სახელმძღვანელო მოიცავს XIX-XX საუკუნეების საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიას. ავტორები რეპრესიების საკითხს ორჯერ განიხილავენ. პირველ შემთხვევაში საბჭოთა კავშირის ჭრილში, მეორე – საქართველოს კუთხით:

01 პარაგრაფი 26. საბჭოთა ტოტალიტარიზმი – სტალინი (გვ. 143–149)

02 პარაგრაფი 45. პოლიტიკური რეპრესიების ხანა საქართველოში (გვ. 246–248)

პარაგრაფის №26. "საბჭოთა ტოტალიტარიზმი – სტალინი" (გვ. 143–149), მეორე და მესამე ქვეთავი ეხება ჩვენი თემის შესაბამის საკითხს: სოციალისტური ეკონომიკის სტალინური მოდელი; ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაცია; მასობრივი რეპრესიები; სოციალისტური ეკონომიკის სტალინურ მოდელი; ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაცია.

მასობრივ რეპრესიებთან დაკავშირებული ქვეთავი იწყება სერგეი კიროვის ბოლომდე გაუხსნელი მკვლელობით, რამაც სტალინს საშუალება მისცა *„იმპეხიაღიზმის აგენტებისა და კონტხევოღუციური ეღემენტების წინააღმდეგ“* მასობრივი რეპრესიები დაეწყო. ავტორები საუბრობენ 1936–37 წლებში დადგმულ ე.წ. „საჯარო“ (ბრჭყალებით აღნიშნავენ და დადგმულად მოიხსენიებენ, რომ მოსწავლეს სათანადო წარმოდგენა ჰქონდეს) პროცესებზე, რომლებზეც ლენინის დროინდელი პარტიული ელიტის დიდი ნაწილი გაასამართლეს და დახვრიტეს. სამწუხაროდ, სახელმძღვანელოში არ გვხვდება არცერთი რეპრესირებულის სახელი, ან საარქივო დოკუმენტი. ავტორები ასახელებენ, 1920–1950 წლების ჩათვლით, პოლიტიკური მოტივით გამოტანილ მილიონობით განაჩენს, რომელთაგან სულ ცოტა ერთი მილიონი დახვრეტას ითვალისწინებდა და რისი აღსრულებაც დაუყოვნებლივ ხდებოდა. 6 მილიონი კი (ძირითადად, „კულაკები“) განაჩენის გამოტანის გარეშე გადაასახლეს.

სახელმძღვანელოში არ სახელდება ზემოთ მოყვანილი რაოდენობების წყარო, რაც ინფორმაციას არასანდოს ხდის. ავტორები ეხებიან ბანაკების შექმნასაც და წერენ, რომ შეიქმნა შრომითი ბანაკების 430 სამმართველო, რომელთაგან თითოეული რამდენიმე ბანაკს მოიცავდა, და მილიონობით ადამიანს ანაზღაურების გარეშე ამუშავებდნენ. ავტორები ცალკე გამოყოფენ 1937–38 წლების რეპრესიებს, როგორც ყველაზე დაუნდობელს (1.5 მილიონი რეპრესირებული, აქედან 700 ათასი – დახვრეტის განაჩენით). აღნიშნულ შემთხვევაშიც წყარო არ არის მოყვანილი. რამდენიმე სიტყვით მოიხსენიებენ, რომ რეპრესიები შეეხო მოსახლეობის ყველა ფენას.

სახელმძღვანელოს ერთ-ერთი ნაკლი იკვეთება შემდეგში – არ სახელდება არცერთი სახელი თუ კონკრეტული საქმე. წერილობითი წყაროებითა და ილუსტრაციებით სახელმძღვანელო საკმაოდ ღარიბია, თუმცა თემატურად სწორად არის შერჩეული. პარაგრაფში გვხვდება კულაკების შესახებ ერთი ილუსტრაცია – „კულაკები გავაძევოთ კოლმეურნეობიდან“, სსრკ–ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1934წ. დეკემბრის დადგენილება ე.წ. "ტერორისტული ორგანიზაციების წევრების მისამართით სასამართლოს გამართვის წესებზე", მაგ., მხარეების დასწრების გარეშე უნდა წარიმართოს, სასჯელის უმაღლესი ზომა დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს და ა.შ. პარაგრაფს ბოლოში ერთვის ერთ–ერთი საოლქო კომიტეტის მიერ 300 კაცის დახვრეტის მოთხოვნა, რასაც ახლავს სტალინის რეზოლუცია – დასახვრეტთა რაოდენობის 500 კაცამდე გაზრდის შესახებ.

პარაგრაფის ბოლოში მოცემული კლასში სამუშაო კითხვებიდან, ერთი ეხება კოლექტივიზაციას და ერთი რეპრესიებს. ასევე ერთვის საშინაო დავალება – „მასობრივი რეპრესიები საბჭოთა კავშირში“, რომლის დაწერასაც ტექსტისა და წყაროების მიხედვით ითხოვენ. თემის დასაწერად არ არის მითითებული დამატებითი წყაროები და არ მოითხოვება მათი მოძიებაც.

პარაგრაფი 45. პოლიტიკური რეპრესიების ხანა საქართველოში (გვ. 246–248). პარაგრაფი გამოირჩევა მცირე ტექსტით, მწირი წყაროებით, ილუსტრაციებით. მოკლედ არის აღნიშნული, რომ რეპრესიები, ერთი მხრივ, მიმართული იყო ძველი ბოლშევიკების წინააღმდეგ, მეორე მხრივ, ინტელიგენციის წინააღმდეგ, რასაც ათასობით ადამიანი შეეწირა. არ სახელდება არცერთი რეპრესირებულის სახელი. მხოლოდ მიხეილ ჯავახიშვილის ფოტოზეა აღნიშნული, რომ ის რეპრესირებული მწერალია.

ასევე პარაგრაფს ერთვის მეორე, ჯგუფური ფოტო და ვინაობის დასახელების გარეშე წარწერა, რომ გამოსახული არიან რეპრესირებული მწერლები. მოსწავლისთვის რთულია მათი ცნობა: ჯავახიშვილი, ტიციანი, სავარაუდოდ, გოთუა და ორი უცნობი პიროვნება (კვლევის ავტორის შენიშვნა).

არცერთი წერილობითი წყარო არ ეხება 30–იანი წლების რეპრესიებს. ერთი წყარო, რომლის ავტორია 1928–30 წლებში თბილისში იტალიის კონსული პაოლო ვიტა ფინცი, ჭავჭავაძეების ოჯახის დახვრეტას ეხება. პარაგრაფის ბოლოში მოცემული კლასში სამუშაო კითხვებიდან მხოლოდ ერთი ეხება 30–იანი წლების რეპრესიებს – „ვის წინააღმდეგ იყო მიმართული სტალინური რეპრესიები?“

საშინაო დავალებაც რეპრესიების შესახებ თხზულების დაწერას ავალებს მოსწავლეებს, თუმცა გაუგებარია პარაგრაფის ტექსტითა და წყაროებით ეს დავალება როგორ უნდა შეასრულოს მოსწავლემ, მით უმეტეს, რომ არც სხვა წყაროებს სთავაზობს და არც მათ მოძიებას ავალებს.

სახელმძღვანელო მომდევნო წლებში კიდევ რამდენჯერმე გამოიცა, თუმცა უცვლელი სახით დაიბეჭდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ავტორები, რეპრესიების საკითხთან მიმართებით, ავლენენ დილეტანტურ დამოკიდებულებას, რაც დასტურდება მათ მიერ გამოყენებული მწირი ფაქტოლოგიური, მსჯელობითი ელემენტებითა და გადმოცემულ წყაროთა თუ ფოტოზე გამოსახულ პირთა იდენტიფიცირების შეუძლებლობით. ყოველივე მიუთითებს საკითხის მიმართ არასერიოზულ მიდგომასა და მოსწავლის ინფორმირებას დაუმოწმებელი მასალის საშუალებით.

ასევე, სახელმძღვანელოში ვერ ვხვდებით ინფორმაციას რეპრესირებულ პირთა შესახებ, ისინი ზოგად კონტექსტში არიან მოხსენიებული და კონკრეტიზაციისგან ავტორები თავს იკავებენ. ამავდროულად, განსაკუთრებით ხაზგასმულია რეპრესირებული პოლიტიკური ელიტისა და ინტელიგენციის რეპრესიების საკითხი, ნაკლებადაა ყურადღება გამახვილებული რიგითი ადამიანების მიმართ განხორციელებულ სადამსჯელო ოპერაციებზე. სახელმძღვანელოში ვერ ვხვდებით ე.წ. “ტროიკის” შესახებ ინფორმაციას, ასევე საარქივო დოკუმენტებს, რომლებიც იქნებოდა საუკეთესო საშუალება რეპრესირებულთა მიმართ გამოტანილი განაჩენისა და მიყენებული ზიანის საილუსტრაციოდ.

დავალებათა პრიორიტიზებისა თუ რელევანტურობის საკითხი ბუნდოვანია. ავტორების მიერ სახელმძღვანელოში გამოყენებული მასალა რეპრესიების თემასთან მიმართებით, არ არის საკმარისი მოცემულ დავალებათა სრულყოფილად შესასრულებლად, მით უმეტეს, ავტორები არ იძლევიან რეკომენდაციას დამატებითი წყაროებისა თუ მასალის მოძიების მხრივ.

ავტორების მიერ სახელმძღვანელოში გამოყენებული მასალები, მე-20 საუკუნის 30-იან წლებთან მიმართებით, არ იძლევა მულტიპერსპექტიული მიდგომის გამოყენების შესაძლებლობას, რაც მოსწავლეს საშუალებას მისცემდა ესა თუ ის მოვლენა სხვადასხვა კუთხით აღექვა და შეეფასებინა.

გვანცა აბდალაძე, ბონდო კუპატაძე, ნატა ახმეტელი, ნიკოლოზ მურღულია, ისტორია. ისტორია. XII კლასის სახელმძღვანელო. გამომცემლობა "დიოგენე". 2012 წელი

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2011-2016 წლის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით გათვალისწინებულ სწავლა-სწავლების მიზნებს 1930-იან წლებში განხორციელებულ რეპრესიებთან მიმართებით აღნიშნული სახელმძღვანელო მეტ-ნაკლებად პასუხობს.

სახელმძღვანელო მოიცავს XIX-XX საუკუნეების საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიას. რეპრესიების საკითხს სახელმძღვანელო ორ პარაგრაფში ეხება:

01 პარაგრაფი 32. საბჭოთა კავშირი (გვ. 155–161)

02 პარაგრაფი 34. საბჭოთა ტოტალიტარული სისტემა (გვ. 166–171)

პარაგრაფი 32. საბჭოთა კავშირი (გვ. 155–161). პარაგრაფში – „საბჭოთა კავშირი" – მიმდინარე კვლევის თემას შეესაბამება ქვეთავი – „კოლექტივიზაცია" (159–160). ავტორები აღწერენ კოლექტივიზაციის დაწყების მიზეზებს და ასახელებენ კოლექტივიზაციის იძულებით კამპანიაზე, კულაკობის პროცესში გადასახლებული და დახვრეტილი ადამიანების რაოდენობაზე. დართული აქვთ სტატისტიკა წლების მიხედვით, რამდენი კომლი გაერთიანდა კოლმეურნეობაში. სახელმძღვანელოში შეტანილია კოლექტივიზაციის კამპანიის მიმდინარეობის შესახებ ფოტო და გაკულაკებული გლეხის მოგონება კოლექტივიზაციაზე. სახელმძღვანელო გამოირჩევა შეკითხვების დიდი რაოდენობით, რომლებიც ყოველი ქვეთავის ბოლოში გვხვდება.

პარაგრაფი 34. საბჭოთა ტოტალიტარული სისტემა (გვ. 166–171). პარაგრაფის პირველ ნაწილში (ცალკე გამოყოფილი სათაური არ გააჩნია) საუბარია 30–იანი წლების საბჭოთა კავშირში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე, რომელსაც მოჰყვება "ბ" ქვეთავი – რეპრესიები საბჭოთა საქართველოში. პარაგრაფი გამოირჩევა ვრცელი ტექსტით, მრავალფეროვანი წყაროებით, როგორც წერილობითი, ასევე ფოტომასალით (მაგ. შრომითი ბანაკი). ერთვის რუკა: საბჭოთა გულაგების ბანაკების სისტემა (მოცემულია სსრკ–ის ტერიტორიაზე არსებული ძირითადი შრომითი ბანაკები, პატიმრების მიერ აგებული დასახლებები მაგ. ნორილსკი, ასევე არხები). წყაროს სახით დართული აქვს ინფორმაცია გულაგისა და ჩეკას შესახებ, მათი მნიშვნელობის განმარტება და დანიშნულება. ერთი წყარო კი ვორკუტას გულაგს და იქ არსებულ მძიმე პირობებს ეხება. ავტორები აღნიშნავენ, რომ რეპრესიები დაიწყო კიროვის მკვლელობის შემდეგ, 1934 წელს. რომ მთელ ქვეყანაში დაიწყო „ხალხის მტრების" ძიება და დაპატიმრება. თითოეულ დაპატიმრებულს 10–20 თანამზრახველი უნდა დაესახელებინა. ავტორები იმასაც აღნიშნავენ, რომ რეპრესიების აქტიური ორგანიზატორები (იაგოდა, ეჟოვი, აბაკუმოვი) მალევე თვითონაც შეეწირნენ რეპრესიებს, ნაწილი კი სტალინის გარდაცვალების შემდეგ დახვრიტეს (ბერია, დეკანოზოვი).

ავტორებს აღწერილი აქვთ ე.წ. „ტროიკის“ დანიშნულება, მათ მიერ სასამართლოს გამართვა. ხაზგასმულია, რომ ცნობილი ადამიანების სასამართლო პროცესი საჯარო იყო, რათა მასებზე ზეგავლენა მოეხდინათ, ასევე აღწერილია თუ როგორ ასმენდნენ საბჭოთა მოქალაქეები ერთმანეთს. პარაგრაფის პირველი ნაწილის დასასრულს მოცემულია თერთმეტი შეკითხვა, რომელიც საკმაოდ დაწვრილებით შლის მასალას.

პარაგრაფი 34. ბ. ქვეთავი – რეპრესიები საბჭოთა საქართველოში. ავტორები რეპრესიების მთავარ გამტარებლად ლავრენტი ბერიას აცხადებენ. არ ჩანს სტალინის როლი. ავტორები აღნიშნავენ, რომ ბერია რეპრესიებს მოსკოვში შემუშავებული მეთოდებით ახორციელებდა. პირველ რიგში კი, ძველი ბოლშევიკები მოიშორა (არცერთი მათგანის სახელი არ წერია) და ახლები დააწინაურა, შემდეგ მოაზროვნე ნაწილს გაუსწორდა. ავტორები დაწვრილებით საუბრობენ, თუ როგორ ხდებოდა საქმეების შედგენა (გაყალბება, წამება, დასმენა) და როგორ ცდილობდა ხელისუფლება, რომ ამ ყველაფერს კანონიერი სახე ჰქონოდა. ავტორები ჩამოთვლი ჰყავთ რეპრესიების მსხვერპლი ინტელიგენციის ნაწილი: მიხეილ ჯავახიშვილი, ევგენი მიქელაძე, სანდრო ახმეტელი, ტიციან ტაბიძე, (ოთხივეს ფოტო შეტანილია) ვახტანგ კოტეტიშვილი. ახსენებენ პაოლო იაშვილის თვითმკვლელობას. ჩამოთვლი ჰყავთ ის ადამიანებიც, რომლებიც მართალია რეპრესიებს გადაურჩნენ, მაგრამ დიდი ზეწოლის ქვეშ უწევდათ ცხოვრება: ივანე ჯავახიშვილი, შალვა ნუცუბიძე, ვუკოლ ბერიძე, ნიკო ლორთქიფანიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია. ავტორებს წყაროს სახით გამოყენებული აქვთ დოკუმენტური სერიალი “საქართველო XX საუკუნე“, მაგ., ნიკოლო მიწიშვილის მიერ ბერიას სადღეგრძელოს დალევაზე უარის თქმა და მისი მალევე დახვრეტა. მოცემულია რამდენიმე ოფიციალური წყარო: ამონარიდი გაზეთ კომუნისტიდან კონტრრევოლუციურ მავნებლებზე, თუ როგორ მოწამლეს საქონელი და ყრილობის სტენოგრამის ამონარიდი, სადაც ანტისაბჭოთა განწყობაში შემჩნეული ქართველი მწერლების დაგმობა ხდება. ქვეთავის ბოლოში კი სამი შეკითხვაა, ასევე სამი დავალება, მაგ., ლუსტრაციის კანონის მიღების საჭიროებაზე მსჯელობა.

სახელმძღვანელო მომდევნო წლებში კიდევ რამდენჯერმე გამოიცა, თუმცა უცვლელი სახით დაიბეჭდა.

სახელმძღვანელოში მე-20 საუკუნის 30-იან წლებში განხორციელებული რეპრესიების გადმოსაცემად გამოყენებული ნარატიული მასალა და წყაროები თანაფარდობის მხრივ დამაკმაყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს. კითხვათა რაოდენობა და ფორმულირება, რეპრესიების საკითხზე ფართო წარმოდგენის შესაძლებლობას იძლევა. ასევე დადებით ასპექტად შეიძლება აღვიქვათ წყაროთა მრავალფეროვნება და ე.წ. “ტროიკის” მახასიათებელთა განხილვა. თუმცა, სასურველი იქნებოდა, ე.წ. “ტროიკასა” და რეპრესირებულ პირებზე საუბრისას, ავტორებს გამოეყენებინათ შესაბამისი წყაროები და საარქივო დოკუმენტები.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ავტორები სუბიექტურ დამოკიდებულებას ავლენენ კონკრეტულ მოვლენებთან დაკავშირებით, მაგ., ისინი რეპრესიების მთავარ გამტარებლად ლავრენტი ბერიას მოიხსენიებენ. რეპრესიებთან მიმართებით სტალინის როლის უგულებელყოფა ტენდენციურ გადაწყვეტილებად შეიძლება აღვიქვათ.

აღნიშნული სახელმძღვანელო, ზემოხსენებული ხარვეზების გათვალისწინებით, ნაწილობრივ იძლევა მულტიპერსპექტიული მიდგომებით სარგებლობის საშუალებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2021 წელს გამოცემული **ბრძანების მიხედვით,** მე-9 კლასის მოსწავლეებისთვის გრიფირებულია გამომცემლობა **„ლოგოს პრესის“** საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო, რომელიც ახალი შედგენილია და 2021 წლის შემოდგომაზე შევიდა სკოლებში. “ლოგოს პრესის” სახელმძღვანელოს გარდა, მე-9 კლასში ისწავლება “დიოგენეს” მიერ 2020 წელს გამოცემული **ისტორიის სახელ-მძღვანელო,** რომელმაც იმავე წელს მიიღო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გრიფი. წიგნებში ასახული მასალა მოსწავლეებს საქართველოსა და მსოფლიო ისტორიას ერთმანეთთან კავშირში ასწავლის. ორივეში ვხვდებით ჩანაწერებს საქართველოს უახლესი ისტორიის შესახებ, თუ რა ზეგავლენა მოახდინა საერთაშორისო მოვლენებმა საქართველოს ისტორიულ ცხოვრებაზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2018-2024 წლის საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრული საბაზო საფეხურის „ისტორიის“ სტანდარტი ხასიათდება სხვადასხვა კომპონენტით, მათ შორის ერთ-ერთი საგნის სწავლა-სწავლების მიზნებია.

საბაზო საფეხურზე საგანი „ისტორია“ საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ინტეგრირებულ სწავლა-სწავლებას გულისხმობს. აღნიშნული სტანდარტის გათვალისწინებით, სასწავლო კურსის განმავლობაში მოსწავლე უნდა გაეცნოს საქართველოს ისტორიის უმთავრეს ეპიზოდებს უძველესი დროიდან დღემდე და დაუკავშიროს მათ მსოფლიო ისტორიის საკვანძო მოვლენები; შეისწავლოს სხვადასხვა ეპოქის სოციალური ისტორია (რელიგია, კულტურა, ეკონომიკა); დაინახოს, რომ თანამედროვეობა და წარსული ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული. საგნის სწავლა-სწავლებისას მოსწავლე ჩართული უნდა იყოს აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მისცემს.

ნატო ახმეტელი, ბესიკ ლორთქიფანიძე, ნათია ფირცხალავა, ისტორია, IX კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა, “დიოგენე”, 2020

გამომცემლობა “დიოგენეს” მიერ 2020 წელს გამოცემულ მე-9 კლასის საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში თემის - რატომ განხორციელდა საბჭოთა კავშირში ინდუსტრიალიზაცია? ინდუსტრიალიზაცია და შრომა-გასწორების ბანაკების სისტემა (გულაგი) - ფარგლებში განხილულია გულაგის სისტემა. 30-იან წლებში განხორციელებულ რეპრესიებს კი ცალკე თავი - “30-იანი წლების დიდი რეპრესიები. რატომ იდევნებოდა საბჭოთა კავშირში თავისუფალი აზრი” - ეთმობა.

სახელმძღვანელო, XX საუკუნის 30-იან წლებში განხორციელებულ რეპრესიებთან მიმართებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2018-2024 წლის საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ „ისტორიის“ სტანდარტის ერთ-ერთ კომპონენტს, სწავლა-სწავლების მიზნებს ნაწილობრივ პასუხობს.

აღსანიშნავია, რომ სახელმძღვანელოში მოცემული მასალა საკმაოდ ინფორმაციულია, თუმცა რეპრესირებულთა თემის სრულყოფილად გადმოცემას რამდენიმე ფაქტორი აფერხებს. ერთ-ერთ ფაქტორად შეგვიძლია მივიჩნიოთ რეპრესირებულ პირთა ჩამონათვალი, რომელიც არ შეიცავს ბიოგრაფიულ ცნობებს, ბრალდებასა და გამოტანილ განაჩენს, არ არის განმტკიცებული ფაქტოლოგიური მასალით. ავტორები საუბრობენ მხოლოდ პაოლო იაშვილის თვითმკვლელობის შესახებ და მოყვანილი აქვთ რამდენიმე ნაწყვეტი წყაროს სახით, ქართული ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებს კი ფორმალურად მოიხსენიებენ. ასევე არ არის ყურადღება გამახვილებული მშრომელთა ფენის რეპრესიის შესახებ. რეპრესიებთან დაკავშირებულ კონკრეტულ ფენომენებზე (მაგ.: ე.წ. "ტროიკა", ტერორის ფორმები, დასმენის პრაქტიკა და ა.შ.) ავტორები არ საუბრობენ. ყოველივე ზემოაღნიშნული კი ხელისშემშლელ ფაქტორებად შეიძლება მივიჩნიოთ მოსწავლისთვის ისტორიული პროცესების ანალიზისა და მათი თანამედროვეობასთან შედარების უნარის ჩამოსაყალიბებლად.

პარაგრაფი, რომელიც გულაგის სისტემაზე მოგვითხრობს, იწყება შრომა-გასწორების ბანაკის განმარტებით. აღნიშნულია, რომ ეს იყო ადგილი, სადაც პატიმრები სასჯელს იხდიდნენ, ამასთან ერთად, იძულებით სხვადასხვა სამუშაოს ასრულებდნენ. პატიმრები უმრავლეს შემთხვევაში იყვნენ ადამიანები, ვინც საბჭოთა ხელისუფლებას ეწინააღმდეგებოდა ან უკმაყოფილებას გამოთქვამდა. ავტორების მიხედვით, კოლექტივიზაციასთან ერთად, რეპრესირებულთა რიცხვი მკვეთრად გაიზარდა და სწორედ შრომა-გასწორების ბანაკების მთელი სისტემა უზრუნველყოფდა უფასო მუშახელის არსებობას.

წიგნში მოყვანილია წყარო - ნიკოლა ვერტის "სახელმწიფო საკუთარი ხალხის წინააღმდეგ", სადაც აღწერილია 1928-1930 წლების ვითარება და შრომა-გასწორების ბანაკებში არსებული ადამიანთა რაოდენობის ზრდის ტენდენცია.

წყაროს შემდეგ მოცემულია საბჭოთა კავშირის რუკა და ბანაკთა ქსელი, შემდეგ კი მოცემულია ინფორმაცია თეთრი და ბალტიის ზღვების დამაკავშირებელი არხის მშენებლობის შესახებ, სადაც მონაწილეობას გულაგის პატიმრები იღებდნენ., აქვე მოცემულია რაოდენობრივი მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენი ადამიანი მუშაობდა ერთდროულად არხის აგებაზე (1000) და რამდენი ადამიანი იღუპებოდა საშუალოდ დღე-ღამის განმავლობაში (700), შიმშილისა და გაჭირვებისგან კი 50,000-200,000 ადამიანამდეა დაღუპული.

სახელმძღვანელოში ამავე თემაზე მოყვანილია კიდევ ორი წყარო, საიდანაც ერთში გადმოცემულია მწერალ ნიკულინის მიერ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრისთვის მიწერილი წერილი (წერილში თეთრი და ბალტიის ზღვების დამაკავშირებელი არხის მშენებლობა ადამიანურობისა და ჰუმანიზმის გამოვლინებად არის მიჩნეული). მეორე წყარო ამონარიდია პატიმარ დიმიტრი ვიტოვსკის მოთხრობიდან, სადაც აღწერილია ის სასტიკი გარემო და პირობები, სადაც უწევდათ პატიმრებს მუშაობა. წყაროების გასაანალიზებლად მოცემულია კითხვებიც, მოსწავლეს ევალება, გაიაზროს ის პროპაგანდისტული გზავნილი, რომელიც პირველ წყაროში იკვეთება.

კითხვების შემდეგ მოცემულია კიდევ ერთი წყარო - პოლიტოლოგ ალექსანდრე რონდელის ტექსტი გულაგის შესახებ. ამონარიდში აღწერილია, თუ როგორ ცდილობდა საბჭოთა რეჟიმი გულაგებში არსებული ვითარების დამალვას და ინფორმაციის კონტროლს. ხაზგასმულია საბჭოთა კავშირის "წარმატება", დაემალა სიმართლე.

აღნიშნული თავის ბოლოს ვხვდებით დავალებას, რომელიც ფორმულირდება შემდეგნაირად: *დაიყავით ჯგუფებად და მოამზადეთ საინიციატივო წერილი, რომლითაც ადგილობრივი მმართველობის ორგანოს მემორიალის გახსნასთან დაკავშირებით უნდა მიმართოთ. წერილში დასაბუთებული უნდა იყოს მემორიალის გახსნის აუცილებლობა.*

შემდეგი თავი უშუალოდ 30-იან წლებში განხორციელებულ რეპრესიებს ეთმობა და იწყება დიდი რეპრესიების მიზნის დასახელებით, რაც *"სოციალურად საშიში ელემენტების განადგურებაში მდგომარეობდა."* სოციალურად საშიში ელემენტების განმარტებისთვის მოყვანილია საბჭოთა კავშირის სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება: *"სოციალურად საშიშად ითვლება ის ადამიანი, რომელმაც თუნდაც ერთი ანტისაზოგადოებრივი ქმედება ჩაიდინა, ვისაც კრიმინალურ სამყაროსთან ურთიერთობა აქვს ან ოდესმე ჰქონია".*

დიდი რეპრესიების დასაწყისად, ისტორიკოსებზე დაყრდნობით, 1937 წლის 30 ივლისია დასახელებული, დღე, როდესაც რეპრესიების დაწყების შესახებ საიდუმლო ბრძანებას მოეწერა ხელი. წყაროდ მოყვანილია იგივე ბრძანება.

სახელმძღვანელოში ახსნილია, რომ სტალინის მიხედვით, "წმენდა" თავდაპირველად სწორედ პარტიის რიგებიდან დაიწყო და ჩამოთვლილია რეპრესირებული პოლიტიკური ელიტისა და ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები. აღსანიშნავია, რომ ავტორები მხოლოდ ჩამონათვალით შემოიფარგლებიან და ინფორმაციას არ გვაწვდიან რეპრესიის დეტალების შესახებ. განხილულია მხოლოდ პაოლო იაშვილის თვითმკვლელობის ისტორია.

ჩანართის სახით მოყვანილია თ. ქადაგიძის "სტალინის "დიდი ტერორი", ყველაზე მარტივი კითხვები 1937 წელზე", სადაც აღწერილია დიდი ტერორის სისასტიკე მიახლოებით რიცხვებში. ავტორის მიხედვით, ორ წელიწადში 1.7 მილიონი ადამიანია დაპატიმრებული, 725 ადამიანი დახვრეტილი. შემდეგ აღწერილია საქართველოს მდგომარეობაც და ყურადღება გამახვილებულია ქართველი ინტელიგენციის რეპრესიაზე.

ასევე ჩანართის სახით მოყვანილია პირველი საბჭოთა მთავრობის წევრთა სია და თითოეულზე მოცემულია გარდაცვალების თარიღი და მიზეზი.

ავტორები სვამენ შემდეგ კითხვას:

გამოთქვი ვარაუდი, რატომ ან როგორ შეიძლებოდა აღმოჩენილიყვნენ მხატვარი, დირიჟორი, ლიტერატორი, პოეტი თუ ექიმი - სახელგანთქმული ხელოვანები და ასევე სხვა მრავალი პროფესიის ადამიანი რეპრესირებულთა რიგებში?

აღნიშნული კითხვის ფორმულირებისას გასათვალისწინებელი იყო ის ფაქტორიც, რომ ხშირ შემთხვევაში მიზეზი სულაც არ იყო საჭირო რეპრესიის განსახორციელებლად. უსაფუძვლო და ხშირად არარსებული ბრალდებებით ხდებოდა ადამიანთა გასამართლება. რეპრესიის მიზეზები მხოლოდ რეჟიმის მოწინააღმდეგეთა კონტექსტით არ უნდა ვეძებოთ, რადგან პოლიტიკური ელიტის არაერთი წარმომადგენელი გახდა რეპრესიის მსხვერპლი, რომელიც ღიად უჭერდა მხარს რეჟიმს და საბჭოთა სისტემის ერთგული იყო.

წყაროს სახით მოცემულია დ. გორგაძის "მოგზაურობა ჯოჯოხეთში". იგი აღწერს, თუ რამდენი ცნობილი ადამიანი დახვდა საკანში. მათი საქმიანობის დასახელებასთან ერთად, დ. გორგაძე გადმოგვცემს, თუ რა ბრალდებით იმყოფებოდნენ სხვადასხვა პროფესიის მქონე ადამიანები საკანში.

საბოლოოდ, თავში მოყვანილია რამდენიმე ნაწყვეტი სხვადასხვა წყაროდან პაოლო იაშვილის თვითმკვლელობის შესახებ. თითოეული ნაწყვეტი თავისებურად გადმოსცემს ამ ერთ ისტორიას. პირველ ნაწყვეტში ნათქვამია, რომ პაოლო იაშვილის თვითმკვლელობა ანტისაბჭოთა პროვოკაციად შეირაცხა. მეორე ნაწყვეტში მოცემულია პაოლო იაშვილის შესახებ მიღებული რეზოლუცია, სადაც პოეტის ქმედებები დახასიათებულია როგორც კონტრრევოლუციური, ჯაშუშური და მავნებლური. მესამე ნაწყვეტში გადმოცემულია მწერალი შალვა აფხაიძის მოგონებები პაოლო იაშვილზე და პოეტის მისეული დახასიათება. მეოთხე ნაწყვეტად მოცემულია პაოლო იაშვილის უკანასკნელი წერილი ქალიშვილისადმი, მეხუთე წყაროდ კი პოეტ იზა ორჯონიკიძის სიტყვები პაოლოს შესახებ. მეექვსე ნაწყვეტში წერია, რომ ერთ-ერთი, ვინც პოეტს მხარი დაუჭირა იყო მიხეილ ჯავახიშვილი. საბოლოოდ, მეშვიდე ნაწყვეტში კი მოცემულია ბრძანება მიხეილ ჯავახიშვილის მწერალთა კავშირიდან გარიცხვის შესახებ.

თავის ბოლოს ვხვდებით კითხვებს და დავალებებს. ისინი მოიცავს მასალათა საკმაოდ დიდი ნუსხას რეპრესირებულთა საკითხის გარშემო ინფორმაციის მოსაძიებლად, გასაცნობად და შემდგომში პრეზენტაციაში გამოსაყენებლად. აღსანიშნავია, რომ მითითებული რესურსი მოიცავს თანამედროვე კვლევების ჩამონათვალს. გასათვალისწინებელია, რომ კითხვათა სწორი ფორმულირება მოსწავლის ანალიტიკური უნარების განვითარებისა და აღნიშნული ეპოქის უკეთ აღსაქმელად წინგადადგმული ნაბიჯია.

აღსანიშნავია რომ სახელმძღვანელოში რეპრესიის საკითხთან მიმართებით გამოყენებული წყაროები თანაფარდობის მხრივ სჭარბობს ავტორთა ნარატიულ მასალას. საკმაოდ მრავალფეროვანია სახელმძღვანელოში გამოყენებული წყაროები, თუმცა უმჯობესი იქნებოდა, ავტორებს თხრობის პრაქტიკით განევრცოთ ამა თუ იმ მოვლენის სპეციფიკა და მიმდინარეობა, დეტალური ინფორმაცია მიეწოდებინათ რეპრესირებულ პირთა მიმართ განხორციელებული სასტიკი პოლიტიკის შესახებ, დასმენის როგორც აპრობირებული მეთოდის მახასიათებლებზე, ღამის ტერორის პრაქტიკასა და განაჩენის გამომტან ორგანოებზე, გამოეყენებინა საარქივო დოკუმენტები, მაგალითად, ე.წ. სამეულის სხდომის ოქმებისა და სასჯელის აღსრულების აქტების სახით. ამასთანავე, პარაგრაფში, რეპრესიების საკითხთან დაკავშირებით, თხრობისთვის შერჩეული ტექსტი, მოცულობის გათვალისწინებით, წყაროებთან თანხვედრისა და ერთობლივ კონტექსტში აღქმის კუთხით, ნაწილობრივ იძლევა მულტიპერსპექტიული მიდგომებით სარგებლობის საშუალებას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პროგრესი შეინიშნება წინა წლების სასკოლო სახელმძღვანელოებთან შედარებით.

მზია სურგულაძე, ვლადიმერ კეკელია, რუსუდან ლაბაძე, შორენა მურუსიძე, მანანა ქურთუბაძე, საქართველო და მსოფლიო ისტორია, IX კლასის სახელმძღვანელო, გამომცემლობა "ლოგოს პრესი", 2021

"ლოგოს პრესის" მიერ გამოცემული სახელმძღვანელო "საქართველო და მსოფლიო ისტორია" ორ ნაწილად იყოფა. პირველ ნაწილში ასახულია საქართველო და მსოფლიო XVII-XIX საუკუნეებში, ხოლო მეორეში განხილულია ორი თემა - "საქართველო და გარე სამყარო მსოფლიო ომებისა და "ცივი ომის" პერიოდში" და "საქართველო და თანამედროვე მსოფლიო".

აღსანიშნავია, რომ სწავლა-სწავლების მიზნებზე მუშაობით ისტორიამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში, რაც აღნიშნულ სახელმძღვანელოში,

ფაქტობრივად, სრულდება, თუმცა მცირე გამონაკლისების გათვალისწინებით. კერძოდ, სახელმძღვანელოში მწირი ცნობებია რეპრესირებულ პირთა საბრალდებო დასკვნისა და განაჩენის შესახებ. ასევე სასურველი იქნებოდა, ავტორებს გამოეყენებინათ საარქივო მასალა ე. წ. "სამეულის" ოქმების, რომელიც იქნებოდა საუკეთესო მაგალითი იმ სასტიკი რეჟიმის საილუსტრაციოდ, რომელსაც, ფორმალურად, მხოლოდ ათწუთიანი სხდომები სჭირდებოდა დახვრეტის განაჩენის გამოსატანად. რეპრესიების განხილვისას, უმჯობესი იქნებოდა სტატისტიკური ცნობების მიწოდება მოსწავლეებისთვის, რაც უფრო აღსაქმელს გახდიდა 30-იან წლებში მიმდინარე რეპრესიების მასშტაბებს ან სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების სახით.

აღნიშნული ისტორიის სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში, მე-20 საუკუნის 30-იან წლებში განხორციელებულ რეპრესიებთან მიმართებით, გამოყოფილია ცალკე თემა, სათაურით "როგორ შეიქმნა სტალინის კულტი და რატომ განხორციელდა "დიდი ტერორი" საბჭოთა კავშირში XX-ის 30-იან წლებში", რომელიც მოიცავს 6 გვერდს.

წიგნის ავტორების აზრით, განხილული თემიდან მოსწავლემ უნდა შეიტყოს, *"როგორ დამყარდა სსრკ-ში სტალინის ეროვნული დიქტატურა და როგორ შეძლო საბჭოთა ხელისუფლებამ მოიჩიენი საზოგადოების ჩამოყალიბება; ამ მიზნის მისაღწევად როგორ დაეხმარა სტალინს თავისი კულტის შექმნა და სასტიკი რეპრესიების განხორციელება".*

აღნიშნულ ჩამონათვალში, საბჭოთა ხელისუფლების მიერ მორჩილი საზოგადოების ჩამოყალიბებასთან მიმართებით, ავტორებს აქცენტი აქვთ მხოლოდ ისეთ ადამიანებზე, ვისაც საბჭოთა რეჟიმის მიმღებლობა გაუჩნდა მორჩილების ფორმით და არა იმათზე, ვინც რეჟიმის მოწინააღმდეგენი იყვნენ და, ხშირ შემთხვევაში, სწორედ ისინი ხდებოდნენ რეპრესიის მსხვერპლნი. აღნიშნული მორჩილების წინაპირობად ან საპირწონედ არ შეიძლება იყოს მიჩნეული. ავტორების მიერ დამატებით მაინც უნდა იყოს ხაზგასმული და მითითებული, რომ განხორციელებული ტერორის მიუხედავად, მორჩილი საზოგადოების ჩამოყალიბებასთან ერთად, არსებობდნენ ადამიანები, ვინც არ უშინდებოდა რეპრესიების შედეგებს და ყველა ხერხითა თუ მეთოდით ცდილობდნენ საბჭოთა რეჟიმის მანკიერ პოლიტიკასთან დაპირისპირებას.

თემის დასაწყისში, პირველ ქვეთავში, სათაურით "სტალინის კულტი", მოკლედაა გადმოცემული ინფორმაცია სტალინის კულტის წარმოშობის შესახებ: "1929 წლის 21 დეკემბერს სახალხოდ აღნიშნეს სსრკ-ის ლიდერის, იოსებ სტალინის 50 წლის იუბილე. გაზეთ "პრავდაში" გამოქვეყნდა სტატიები, რომლებიც ბელადს განადიდებდა. ამ ფაქტის შემდეგ საბჭოთა კავშირში დაიწყო სტალინის პიროვნების კულტის შექმნა".

დამატებით, წყაროს სახით, მოცემულია ნაწყვეტი მწერლისა და კრიტიკოსის გერონტი ქიქოძის მოგონებებიდან XX-ის 30-იან წლებში ხელოვანების მიერ სტალინის განდიდების მასშტაბებზე, რომელშიც აღწერილია სტალინის ქართველ პანეგირისტთა ხედვები და სტალინის თვითგანდიდების სინდრომით გამოწვეული მდგომარეობა.

სტალინის კულტის საილუსტრაციოდ, სახელმძღვანელოში მოყვანილია საბჭოთა პროპაგანდისტული პოსტერები, რომლებიც ნათლად ასახავს ბელადის მიმართ დამოკიდებულებას და ხაზს უსვამს მისი ნიჭისა და შესაძლებლობების გადაჭარბებულად გამოხატვას. ასევე, აღნიშნულ ქვეთავში ვხვდებით პოეტ ლადო ასათიანის მოსაწვევს სტალინის ოთახის საზეიმო გახსნაზე (1938 წ).

შემდგომში, სახელმძღვანელოში ვხვდებით ორ კითხვას, რომელთაგან ერთ-ერთი ფორმულირდება შემდეგნაირად: *ხა გზით მოახეხხებდა ადამიანი კახიეხუდ წინსვდას? ადამიანები უფხო ნიჭისა და ცოდნის მიხედვით დაფასდებოდნენ თუ სტაღინისადმი და პახტიისადმი ეხთგუღებით? გააგხძეღე ჩამონათვაღი.*

იმის განსაზღვრა, თუ რის მიხედვით შეიძლებოდა დაფასებულიყო ადამიანი საბჭოთა რეჟიმის დროს, დარწმუნებით არ შეიძლება, რეპრესიის პოლიტიკიდან გამომდინარე. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საბჭოთა რეჟიმის პერიოდში რეპრესიის მსხვერპლნი ხდებოდნენ როგორც ნიჭიერი, განათლებული ადამიანები, ასევე ისინიც, ვინც სტალინისადმი და პარტიისადმი ერთგულებით გამოირჩეოდა. რეჟიმი არ ინდობდა არავის და ამის ნათელი მაგალითია პოლიტიკური ელიტის რეპრესია. უმჯობესი იქნებოდა აღნიშნული კითხვა ისე ყოფილიყო ფორმულირებული, რომ არ დაეტოვებინა იმის ალბათობა, თითქოს დაფასება შეიძლებოდა ყოფილიყო ერთგვარი ინდულგენცია ან წინაპირობა რეპრესიის არგანხორციელების.

შემდეგი ქვეთავი, სათაურით "დიდი ტერორის" მიზეზები", იწყება ვიქტორ დენისა და მიხეილ ჩერემნიხის პროპაგანდისტული პოსტერით (1920) "ამხანაგი ლენინი დედამიწას უწმინდურებისგან ასუფთავებს", აღნიშნული ილუსტრაცია გადმოსცემს, თუ რა ტიპის დამოკიდებულებას ნერგავდნენ პროპაგანდის მეშვეობით ოქტომბრის გადატრიალების პირველივე წლებში.

თემის ირგვლივ საუბარი გრძელდება 1934 წლის 1 დეკემბერს "დიდი ბოლშევიკი" პოლიტიკოსის სერგეი კიროვის მკვლელობით, რომელიც სტალინმა მიზეზად "გამოიყენა პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მოსაშორებლად და განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანების გასანადგურებლად". სახელმძღვანელოში მოკლედაა აღწერილი 1937-38 წლებში განხორციელებული მასობრივი რეპრესიების მიზნები და შედეგები: *"მასობხივი ხეპხესიების მიზანი იყო ყვეღა სფეხოში მოხჩიღი კადხების მოყვანა, ხომღებიც, კომუნისტ ღაზახ კაგანოვიჩის სიტყვებით, "დათანხმდებიან ნებისმიეხი საქმის შესხუღებას, ხომეღსაც მათ ამხანაგი სტაღინი დაავაღებს". სტაღინმა ჩამოიშოხა ყვეღა ის ხევოღუციონეხი და ავტოხიტეტუღი ბოღშევიკი, ხომღებმაც 1917 წღის ოქტომბხის გადატხიაღებაში, მისგან განსხვავებით, მნიშვნეღოვანი ხოღი შეასხუღეს და პახტიაში ღიდი ავტოხიტეტი ჰქონდათ. ასევე, ხეპხესიები მიზნად ისახავდა ე. წ. "სოციაღუხად საშიში ეღემენტების" საბოღოოდ განადგუხებას, პიხვეღ ხიგში კი თავისუფღად და შემოქმედებითად მოაზხოვნე ადამიანების მოსპობას. სსხკ-ში, სადაც აზხოვნება მხოღოდ ბეღადის პხივიღეგიად ცხადდებოდა,*[8] *ასეთებისთვის ადგიღი ახ იყო. "ღიდი ტეხოხის" საბოღოო შედეგი უნდა ყოფიღიყო მოხჩიღი საზოგადოების შექმნა, ხომღის წევხები კომუნისტუხ იდეოღოგიასა და ბეღადის გადაწყვეტიღებებში ეჭვს ახ შეიტანდნენ და სახეღმწიფოს ნებისმიეხ ინიციატივას მხახს დაუჭეხდნენ."*

სახელმძღვანელოში ავტორებს ქვესათაურის - "'ხალხის მტრები' - ისინი ვინც "წმენდაში" მოახვედრეს" - ქვეშ აღწერილი აქვთ "დიდი ტერორის" მსხვერპლთა მახასიათებლები: *"იჭეხდნენ ყვეღას, ვისაც ეჭვი შეჰქონდა კომუნისტუხ იდეოღოგიაში, ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა ღიდეხებს, იყო შემოქმედებითი და, შესაბამისად, განსხვავებუღად მოაზხოვნე. ხეპხესიები იმდენად სასტიკი იყო და*

[8] აზროვნება მკაცრად დაგენილ ჩარჩოებში იყო მოქცეული: "სწორად" მოაზროვნე ადამიანები მუშათა და გლეხთა წრიდან გამოდიოდნენ, მათგანვე იქმნებოდა "წითელი პროფესურა", მათ ეხებოდა "მწერალთა რიგებში გაწვევა" და ა.შ. - რედ.

მასშტაბი იმდენად დიდი, რომ მათი მსხვერპლი ხდებოდნენ თავად ისინიც, ვისაც კომუნისტური და რეპრესიული სისტემის შექმნაში აქტიური მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული და პარტიისა და იდეოლოგიის ერთგულნი იყვნენ. მათ, აბსურდული ან გამოგონილი ბრალდებების საფუძველზე, "ხალხის მტრებად" და "სამშობლოს მოღალატეებად" აცხადებდნენ. ასეთ ადამიანებს აწამებდნენ და ხვრეტდნენ ან, თუ სიცოცხლეს უნარჩუნებდნენ, შრომა-გასწორების ბანაკებში აგზავნიდნენ მძიმე სამუშაოების შესასრულებლად."

წყაროს სახით მოყვანილია ამონარიდი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის 1937 წლის 15 აგვისტოს ბრძანებიდან სამშობლოს მოღალატეთა ცოლების შესახებ, რაც, თავის მხრივ, ხაზს უსვამს საბჭოთა რეჟიმის სისასტიკეს.

წიგნში ასევე განხილულია სტალინის მმართველობის დროს დასმენის, როგორც აპრობირებული მეთოდის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა დასმენა წყენის, თანამდებობრივი და პირადი გამორჩენის მიზნით, როგორ სწამებდნენ ცილს უდანაშაულო ადამიანებს და ანონიმურ წერილებს სწერდნენ ხელისუფლებას. მაგალითის სახით განხილულია პატარა ბიჭის, პავლიკ მოროზოვის ისტორია, რომელმაც მამა დაასმინა და გმირად და სამაგალითო ახალგაზრდად იყო აღიარებული.

წყაროს სახით მოყვანილია ნაწყვეტი საქართველოში გამომავალ გაზეთ "კომუნისტის" ერთ-ერთი წერილიდან სოციალიზმის მტრების შესახებ, რომელიც თარიღდება 1937 წლის 2 ივლისით. წერილში სოციალისტური მშენებლობის ხელისშეშლაში დადანაშაულებულია *"ფაშიზმის მოსყიდული აგენტები, ტროცკისტები და მემარჯვენე კონტრრევოლუციონერები".*

XX საუკუნის 30-იან წლებში განხორციელებულ რეპრესიებთან დაკავშირებით, სახელმძღვანელოში თხრობა გრძელდება რეპრესირებულთა სიებისა და გაყალბებული ბრალდებების შესახებ: *"ცენტრალური (სსრკ-ის) ხელისუფლება დასახვრეტთა და გადასასახლებელთა რაოდენობებს წინასწარ გეგმავდა. ამ გეგმების საფუძველზე კი სიებს კონკრეტული სახელებითა და გვარებით, რესპუბლიკაშივე ადგენდნენ. საბოლოო დასტურის ნიშნად სიებს ხელს აწერდნენ სტალინი და სსრკ-ის პარტიის სხვა ლიდერები. დაგეგმილი დახვრეტები და გადასახლებები საქართველოში ზოგჯერ გადაჭარბებითაც სრულდებოდა. ბრალდებული ადამიანების მიმართ კანონი სათანადოდ ამოქმედებული არ იყო, კერძოდ, არ ხდებოდა მათ მიმართ წაყენებული ბრალდების გამოძიება, სასამართლო პროცესებზე მათ არ ჰყავდათ ადვოკატი, არ ჰქონდათ თავის მართლების არავითარი საშუალება. დახვრეტები ხშირად გამოძიების გარეშე, გაყალბებული მასალების საფუძველზე ხდებოდა. უდანაშაულო ადამიანთა სიკვდილით დასჯისთვის კანონიერი სახის მისაცემად, ბრალდებულებს წამების მეშვეობით სძალავდნენ აღიარებას - აიძულებდნენ, ყალბ ჩვენებებზე მოეწერათ ხელი."*

წყაროს სახით დართულია 1937-38 წლებში თბილისის ციხის ზედამხედველის მონათხრობი ციხეში არსებული მდგომარეობის შესახებ, რომელშიც მოკლედაა გადმოცემული პატიმართა გაუსაძლისი პირობებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები.

"დიდი ტერორის" შემსრულებელთა შესახებ წიგნში ვკითხულობთ, რომ "დიდ ტერორს" ახორციელებდა 1934 წელს ჩამოყალიბებული საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი (შემოკლებით - შინსახკომი, რუსულად, შემოკლებით - ენკავედე) და 1937-38 წლებში რეპრესიების დაჩქარების მიზნით იქმნებოდა საგანგებო "სამეულები" (ე. წ. ტროიკა). წიგნში

ხაზგასმულია, რომ საქართველოში განხორციელებულ რეპრესიებს "ხელმძღვანელობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ლიდერი ლავრენტი ბერია, რომელიც სტალინის მითითებით მოქმედებდა". რეპრესიების მასშტაბების ზრდასთან დაკავშირებით, რაც სასამართლო პროცესების დაჩქარებას იწვევდა, სახელმძღვანელოში მოყვანილია ნაწყვეტი 1934 წლის 1 დეკემბრის დადგენილებიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შესახებ. აღნიშნული კოდექსი ასახავს საქმეების განხილვის ვადებსა და გადაწყვეტილებების დაჩქარებული წესით მიღებას.

წყაროს სახით ავტორებს გამოყენებული აქვთ ნაწყვეტი მწერლისა და კრიტიკოსის, გერონტი ქიქოძის მოგონებებიდან ლავრენტი ბერიას შესახებ, რომელიც მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას ბერიას მიერ საკუთარი კარიერული წინსვლისთვის განხორციელებული პოლიტიკისა და თბილისში შექმნილი "სამეულის" შესახებ - გოგლიძის, დეკანოზოვისა[9] და ქობულოვის შემადგენლობით. შენიშვნის სახით კი, მათ შესახებ მოკლე ინფორმაციაა მოცემული, რომელ წლებში იკავებდნენ თანამდებობას და როდის დახვრიტეს.

წიგნის ავტორები, ცნობის სახით, მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციას "ბრალდებულთა" ღამით დაპატიმრებების შესახებ: *"სადამსჯელო ორგანოების აღმსრულებლები (შინსახკომის კომისრები) სამშობლოს მოღალატედ შერაცხული "ბრალდებულის" დასაპატიმრებლად მასთან სახლში შუაღამეს მიდიოდნენ. კარზე ხმაურით აკაკუნებდნენ, ოჯახის ყველა წევრს აღვიძებდნენ, ბინას ჩხრეკდნენ და ისე, რომ მიზეზსაც არ განუმარტავდნენ, "ბრალდებულს" აპატიმრებდნენ. ამ ღამეული "სტუმრობის" შიშით ცხოვრობდა მთელი საზოგადოება."*

ამავე ქვეთავში ასევე ვხვდებით კადრს რეჟისორ თენგიზ აბულაძის მხატვრული ფილმიდან "მონანიება", რომელიც 1984 წელს არის გადაღებული და წიგნის აღწერის მიხედვით, სტალინური რეპრესიების შესახებ რეალურ ისტორიაზეა დაფუძნებული. კადრს თან ახლავს შემდეგი აღწერა: *"...წინა პლანზე მართლმსაჯულების ქალღმერთი თემიდა დგას. მას თვალები ტრადიციულად ნაჭრით აქვს ახვეული მიუკერძოებლობის ნიშნად, ოღონდ აქ ნაჭერი შავი ფერისაა. უკანა პლანზე, როიალთან კი - ხელოვანივით შემოსილი მოსამართლეა, რომელიც ბრალდებულს ასამართლებს (ბრალდებული კადრში არ ჩანს)."*

ფოტოს აღწერის ქვემოთ კი წიგნის ავტორები შემდეგ კითხვას უსვამენ მოსწავლეებს: *"იმსჯელეთ კლასში: რისი თქმა სურს სიმბოლურად რეჟისორს ამ კადრით: რატომ აქვს თვალები თემიდას ახვეული შავი ფერის ნაჭრით? რატომ აცვია მოსამართლეს ხელოვანივით?"*

სახელმძღვანელოს ავტორები ყურადღებას ამახვილებენ გულაგის შრომა-გასწორების ბანაკების პატიმართა ცხოვრებისა და შრომის შესახებ, რის საილუსტრაციოდაც გამოყენებული აქვთ ფოტოკოლაჟი. აღწერაში საუბარია, რომ *"გადასახლებულები სახელმწიფოსთვის უფასო მუშახელი იყო, რომელიც რთულ გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებში მძიმე ფიზიკურ შრომას ეწეოდა ბელადის მიერ დაგეგმილი გრანდიოზული ეკონომიკური პროექტების (არხების მშენებლობა, მაღაროების გათხრა, ტაიგაში ხე-ტყის ჭრა და სხვ.) განხორციელებისთვის."*

[9] სინამდვილეში, ვლადიმერ დეკანოზოვი განსაკუთრებული სამეულის წევრი არ ყოფილა, სერგო გოგლიძისა და ბოგდან ქობულოვის გარდა სამეულის წევრები იყვნენ: შალვა წერეთელი, ილარიონ ტალახაძე, ავქსენტი რაფავა და კანდიდ ჩარკვიანი. ქობულოვი და ჩარკვიანი მოგვიანებით დაემატნენ შემადგენლობას, ხოლო თავდაპირველი ბრძანებით მხოლოდ ნახსენები 4 ადამიანი იყო "სამეულის" წევრი. წყარო: Составы троек НКВД—УНКВД 1937–1938 гг., созданных для рассмотрения дел арестованных в ходе массовой операции по приказу НКВД СССР № 00447 от 30 июля 1937 г.

წიგნის ავტორები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვით მიმართავენ მოსწავლეებს, ცდილობენ მოსწავლეთა დამოკიდებულების გარკვევასა და ანალიტიკური უნარების გამოვლენას.

ერთ-ერთი კითხვა ფორმულირდება შემდეგნაირად: *"იმსჯელეთ კლასში: მისაღები იქნება თქვენთვის ცხოვრება ისეთ ქვეყანაში, რომლის კეთილდღეობა ბედადისგან განსხვავებული შეხედულების მქონე ადამიანთა ნაწილის ფიზიკურ განადგურებასა და მეორე ნაწილის იძულებით შრომაზე იქნება დაფუძნებული? მსჯელობა არგუმენტებით გაამყარეთ."*

აღნიშნული კითხვით ავტორები ორაზროვან ფონს ქმნიან და ისეთი ნარატივის განვითარების შესაძლებლობას ტოვებენ, თითქოს ქვეყნის კეთილდღეობის საფასური იყო 1937-38 წლებში სასტიკ რეპრესიებს შეწირული ადამიანების სიცოცხლე. ერთი მხრივ, "კეთილდღეობა" რამდენად შეიძლება ეწოდოს ადამიანთა განადგურებისა და მონური შრომით მიღწეულ შედეგს, სადავოა. მეორე მხრივ, არ უნდა იქმნებოდეს ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ადამიანთა რეპრესია იყო ერთადერთი გამოსავალი იმ "კეთილდღეობისათვის", რომელზეც ავტორები საუბრობენ.

სახელმძღვანელოში, მე-20 საუკუნის 30-იან წლებთან დაკავშირებულ მოვლენებზე საუბრისას, ერთ-ერთი ქვეთავი - "განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანების რეპრესიები", ეთმობა საბჭოთა სისტემისთვის მიუღებელ შემოქმედებით ადამიანთა და მეცნიერთა რეპრესიების განხილვას. ავტორები აღნიშნავენ, რომ "საზოგადოების ამ მოაზროვნე ნაწილის განადგურებით სტალინი და მისი მიმდევრები ცდილობდნენ, ხალხისთვის საკუთარი იდეები უტყუარობა ჩაეგონებინათ და საკუთარი ძალაუფლების ურყეობა უზრუნველეყოთ."

აღნიშნულ თემასთან მიმართებით, წიგნში განხილულია რამდენიმე რეპრესირებული მწერლისა და მეცნიერ-ხელოვანის მოკლე ბიოგრაფია, როგორებიც არიან: სანდრო ახმეტელი, მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, შალვა ცინცაძე და დიმიტრი შევარდნაძე. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბიოგრაფია ძალიან მწირია და საფუძვლიანად არ გადმოსცემს მათ მიმართ განხორციელებული რეპრესიის სიმძაფრეს.

წიგნის ავტორები წყაროს სახით მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციას სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის მდივნის დავით დემეტრაძის დამოკიდებულებაზე მწერალ მიხეილ ჯავახიშვილის მიმართ (1937 წლის 17 აგვისტო), სადაც დემეტრაძე ჯავახიშვილს თვალთმაქც დივერსანტად მოიხსენიებს და მიაჩნია, რომ მისი განადგურება საბჭოთა ლიტერატურის ფრონტს აჯანსაღებს.

ჯგუფური სამუშაოს სახით კი სთავაზობენ ჩამოთვლილ თემათაგან ერთ-ერთი საკითხის ირგვლივ ინფორმაციის მოძიებასა და შემდგომში პრეზენტაციის წარდგენას: "რეპრესირებული მწერლები, რეპრესირებული მეცნიერები, რეპრესირებული ხელოვანები, რეპრესირებული ქალები."

რესურსის სახით მითითებულია "დიდი ტერორი" - ადამიანური ისტორიები - youtube-ზე გადასასვლელი ბმული.

იმის გათვალისწინებით, რომ 21-ე საუკუნეში ბევრად მეტი რესურსის გამოყენებაა შესაძლებელი რეპრესიის თემატიკის გასაცნობად, არაერთი კვლევაა ჩატარებული და საარქივო დოკუმენტი გასაჯაროებული, უმჯობესი იქნებოდა რესურსების ჩამონათვალი მრავალფეროვანი ყოფილიყო და მოსწავლეს ჰქონოდა საშუალება გაეკეთებინა არჩევანი.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმძღვანელოში XX საუკუნის 30-იან წლებში განხორციელებული რეპრესიის განხილვას ეთმობა შვიდი გვერდი, რაც დიდ პროგრესად შეიძლება ჩაითვალოს წინა წლების ისტორიის სახელმძღვანელოებთან მიმართებით. ავტორების ტექსტიც და დამატებითი მასალა ფოტოებისა და წყაროების სახით პროპორციულადაა განაწილებული წიგნში. ასევე განმარტებულია უცხო ტერმინოლოგია. გასათვალისწინებელია ავტორების მცდელობაც - გამოეკვეთათ 30-იან წლებში განხორციელებული რეპრესიების მნიშვნელოვანი ასპექტები. თუმცა რეპრესირებულ პირებთან დაკავშირებით განსაკუთრებით ხაზგასმულია პოლიტიკური ელიტისა და ქართული ინტელიგენციის რეპრესიის საკითხი. უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ საზოგადოების შემოქმედებითი ნაწილისა და პარტიული ფუნქციონერების რეპრესიების აღნიშვნა ნათელ წარმოდგენას ვერ შეუქმნის მოსწავლეებს ტერორის მასშტაბზე. ისიც უნდა ითქვას, რომ რეპრესიების მსხვერპლი ხდებოდნენ ადამიანები, რომლებსაც არც ბელადის, არც პარტიის საწინააღმდეგო ჰქონდათ რამე და, საერთოდაც, პოლიტიკური პროცესების მიღმა იყვნენ (“მშრომელთა” ფენიდან).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასურველი იქნებოდა ავტორებს განეხილათ, თუ როგორ მიმდინარეობდა “სამეულის” სხდომები, როგორ დგებოდა საბრალდებო დასკვნები და განაჩენი. ყოველივე შესაძლებელი იქნებოდა საარქივო დოკუმენტების დართვით, რაც მოსწავლეებს მისცემდა აღნიშნული ეპოქის უკეთ აღქმისა და იმ პერიოდის გასამართლების მეთოდების შესახებ ინფორმირების შესაძლებლობას.

დასკვნები/შეჯამება:

აღნიშნულ კვლევაში, მე-20 საუკუნის 30-იან წლებში განხორციელებული „დიდი ტერორის“ შესახებ 1990-იანი წლებიდან დღემდე გამოცემული სასკოლო სახელმძღვანელოების სწავლების დინამიკის ანალიზისას, სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით, განხილულია საბაზო და საშუალო საფეხურის - IX და XI კლასის საქართველოს ისტორიის 13 სახელმძღვანელო.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოში არქივების ღიაობის ნაკლებობის, დაბალი სამეცნიერო-კვლევითი აქტივობისა თუ სხვა დამაბრკოლებელი ფაქტორების შედეგად, აღნიშნული ეპოქა სახელმძღვანელოებში მხოლოდ ნაწილობრივ და ფრაგმენტულად არის გადმოცემული.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდიდან გამოცემული და სკოლებში სწავ-ლებისთვის რეკომენდებულ სახელმძღვანელოებში რეპრესიების საკითხის ანალიზისას, არაერთ პრობლემურ მიდგომას ვხვდებით: მათ შორისაა თანამედროვე მეცნიერების მიღწევების ინტეგრაციის ნაკლებობა, ისტორიული მოვლენების ფრაგმენტული ან არასრულყოფილი ასახვა, სუბიექტების გარეშე თხრობა და ა.შ.

აღსანიშნავია სახელმძღვანელოების ავტორთა მიერ მწირი ნარატიული, ფაქტოლოგიური მასალის გამოყენება რეპრესიების მსხვერპლთა კონკრეტიზაციის პროცესში: ისინი მცირე თხრობით პასაჟებს იყენებენ რეპრესირებული ინტელიგენციისა და პოლიტიკური ელიტის ბედის აღსაწერად, ხშირ შემთხვევაში კი მხოლოდ მცირე ჩამონათვალით შემოიფარგლებიან. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 1994 წლიდან დღემდე, საქართველოს ისტორიის სახელმძღვანე-ლოებში რეპრესირებულ პირთა რიგებში, ძირითადად, გვხვდებიან ერთი და იგივე პიროვნებები, როგორებიც არიან: სანდრო ახმეტელი, ევგენი მიქელაძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, შალვა ცინცაძე, დიმიტრი შევარდნაძე, გრიგოლ წერეთელი, ბიძინა რამიშვილი და ვახტანგ კოტეტიშვილი - ამ პიროვნებათა ჩამონათვალი თითქმის უცვლელია სამი ათეული წლის განმავლობაში. ინფორმაცია ამ ადამიანების შესახებ მხოლოდ ჩამონათვალით შემოიფარგლება - ხშირ შემთხვევაში არ არის ნახსენები ბიოგრაფიული ცნობები, ბრალდება-განაჩენი და სხვა დეტალები, რაც რეპრესიებთან მიმართებით რელევანტური იქნებოდა.

რა თქმა უნდა, სახელმძღვანელოებში უნდა იყოს ინფორმაცია დიდი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების შესახებ, თუმცა, ამავდროულად ლოგიკური იქნებოდა ისეთი მოღვაწეების შესახებ ინფორმაციის დამატება, რომლებმაც უდიდესი როლი ითამაშეს საქართველოში და მსოფლიოში მეცნიერების დარგების განვითარების კუთხით: მეტყევე-სელექციონერი სოლომონ ქურდიანი, მიკრობიოლოგი გიორგი ელიავა, ფილოლოგი და ისტორიკოსი ქრისტეფორე რაჭველიშვილი და სხვა ღვაწლმოსილი ადამიანები, რომელთა ბედი რეჟიმმა გადაწყვიტა.

სახელმძღვანელოებში ცალკეა შესაძლებელი რეპრესირებული ქალების ისტორიების აღნიშვნა, რისთვის შესავალში ნახსენები კრებული - „დაკარგული ისტორია: მეხსიერება რეპრესირებული ქალების შესახებ“ ვრცელ მასალას გვთავაზობს. ასევე შესაძლებელია რეპრესირებული ეთნოსების შესახებ სახელმძღვანელოებში ინფორმაციის ასახვა, კვლევის - “ეთნოსი და ტერორი საქართველოში” - გამოყენებით.

სახელმძღვანელოებში თითქმის უგულებელყოფილია მშრომელთა ფენა (ე.წ. “კულაკები”) - თითქმის ვერ შევხვდებით დეტალებს ადამიანთა აღნიშნული კატეგორიის რეპრესიების შესახებ. ამ დროს კი აღნიშნული კატეგორია რაოდენობრივად ყველაზე მეტი იყო, ხოლო რეპრესია ამ მიმართულებით პოლიტიკურის ნაცვლად, ძირითადად, სოციალურ ხასიათს ატარებდა. გაურკვეველია, რატომ უგულებელყოფენ ავტორები “ჩვეულებრივ ადამიანთა” ისტორიებს და რატომ ამჯობინებენ ამ მხრივ დისტანცირებას. ასევე რეპრესირებულთა შესახებ თხრობა თითქმის სრულად მოიცავს პირველი კატეგორიით რეპრესირებულებს - დახვრეტილებს, ხოლო სხვადასხვა ვადით გადასახლებულ პირთა შესახებ (მეორე კატეგორიით რეპრესირებულები), რომელთა დიდი ნაწილი უკან ვერ დაბრუნდა, სახელმძღვანელოების უმრავლესობაში არაფერია ნათქვამი.

1937-38 წლებში განხორციელებულ რეპრესიებს ათიათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა საქართველოში, არაერთი ადამიანის ცხოვრებას დაასვა დაღი საბჭოთა რეჟიმის სასტიკმა პოლიტიკამ. გასული საუკუნის ამ ტრავმული პერიოდის სასკოლო სახელმძღვანელოებში აღსაწერად და გადმოსაცემად, ავტორთა უმრავლესობა ნაწილობრივ ფრთხილ შეფასებით დამოკიდებულებას ავლენს და ცდილობს მხოლოდ ფაქტოლოგიურ მასალას გაუსვას ხაზი. უნდა აღინიშნოს, რომ რეპრესიების თემატიკაზე საუბრისას, ძირითადად, ავტორთა თხრობა ხასიათდება ნეიტრალური ტონითა და რეპრესიების პერიოდის სოციალურ-პოლიტიკური ლანდშაფტის მონოტონური აღწერით. ეპოქის კონკრეტულ ამბავთა მიმოხილვისას კი, ავტორები ნაკლებად ცდილობენ გადმოსცენ მოვლენათა დინამიკა უფრო დეტალური კონტექსტითა და მიზეზ-შედეგობრივი ფაქტორების გათვალისწინებით. ეს ხელს უწყობს ფაქტებთან და მოვლენებთან დისტანცირებას, რაც, თავის მხრივ, შეფასებითი კომპონენტისგან თავშეკავების მანიშნებელია. უმეტეს შემთხვევაში, განსაკუთრებით 1990-იან წლებსა და 2000-იანი წლების დასაწყისში გამოცემულ სახელმძღვანელოებში რეპრესიების პერიოდის აღსაწერად ავტორთა ტექსტის სახით გამოყენებული ნარატიული მასალა, მოცულობის მხრივ, სჭარბობს წყაროთა რაოდენობას. აღნიშნული ტენდენცია შედარებით სახეცვლილი გვხვდება 2008 წლისა და 2020-2021 წლის სახელმძღვანელოებში, სადაც წყაროთა და სხვა დამხმარე მასალათა რაოდენობა უფრო მოცულობითი ფორმითაა წარმოდგენილი, რეპრესიების საკითხს კი საკმაოდ ვრცელი პარაგრაფები ეთმობა.

სახელმძღვანელოთა უმეტეს ნაწილში შეინიშნება წყაროთა შერჩევის კრიტერიუმების კლასიფიცირების, პრიორიტიზებისა და რეპრესიის საკითხის უკეთ აღსაქმელად გაცილებით ინფორმაციული, რეპრესიის მანკიერი მხარეების გამომხატველი მასალის ნაკლებობა.

სახელმძღვანელოთა უმეტესობაში არ ჩანს დეტალური ინფორმაცია იმ პერიოდში დამკვიდრებული ისტორიული ტერმინებისა და მათი განმარტებების შესახებ. შინაარსობრივად კი რეპრესიების პროცესის აღწერა თითქმის არ გვხვდება, რაც შესაძლოა მოიცავდეს დიდი ტერორის საკანონმდებლო ჩარჩოს, დასმენის მეთოდების, რეპრესირებულთა მიმართ გამოტანილი საბრალდებო დასკვნისა და განაჩენის შესახებ ინფორმაციას. ასევე არ არის ნახსენები ის საინფორმაციო პროპაგანდისტული აქტივობები, რომლებიც თან სდევდა დიდ ტერორს სრული პროცესის მანძილზე. მართალია, ზოგიერთ წიგნში აღნიშნულია, რომ პროცესი მიზნად ისახავდა “ახალი საბჭოთა ადამიანის” ჩამოყალიბებას, თუმცა არ არის აღწერილი ამის მეთოდები: საჩვენებელი პროცესები, საგაზეთო სტატიები, ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფისთვის (შრომითი

კოლექტივები თუ პროფკავშირები, ქალაქად და სოფლად შეკრებილი გლეხები და ა.შ.) მიმაგრებული აგიტპროპის[10] პარტიული მუშაკის საქმიანობა, რომელიც მათ აცნობდა "ხალხის მტრების" განადგურების პერიპეტიებს. მასშტაბური საინფორმაციო კამპანია, რომელიც თან სდევდა რეპრესიებს და მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას.

ზოგიერთი სახელმძღვანელოს ტექსტებს თან არ ერთვის საარქივო დოკუმენტები, მაგალითად, ე.წ. "სამეულის" ოქმების სახით, რომლებიც ნათლად გადმოსცემდა საბჭოთა რეჟიმის სისასტიკეს და უსაფუძვლო, ხშირად არარსებულ ბრალდებებს შეწირულ ადამიანთა ბედს. ეს ეს კიდევ უფრო განამტკიცებდა ცოდნასა და სოლიდარობის განცდას რეპრესირებულ პირთა მიმართ. ავტორები მინიმალისტურ მიდგომას ავლენენ, ამ კუთხით, საკითხთა გაშლის თვალსაზრისითაც, რაც ბუნდოვან ფონს ქმნის და არ იძლევა კონკრეტული მოვლენის საფუძვლიანად აღქმის შესაძ-ლებლობას.

კითხვათა და დავალებათა ფორმულირების თვალსაზრისით, გარკვეულ შემთხვევაში, შეინიშნება სუბიექტური მიდგომები და ორაზროვანი კონტექსტი. უმჯობესი იქნებოდა, ავტორებს პასუხების არასწორად ინტერპრეტირების ალბათობა, ტენდენციური ქვეტექსტი და ორაზროვანი ფონი მინიმუმამდე შეემცირებინათ.

აღსანიშნავია, რომ, განსხვავებით წინა პერიოდისგან, უკანასკნელ წლებში გამოცემული და სასწავლო პროცესში გამოსაყენებლად რეკომენდებული ისტორიის წიგნების ნაწილი უკვე მოიცავს რეპრესიების თემასთან დაკავშირებულ უახლეს კვლევებსა და სხვა დამატებით მასალას.

რეპრესიების თემის განხილვისას, ამ ეპოქის სრული სურათის აღსადგენად და განსაკუთრებით რეპრესიის მსხვერპლთა საკითხის გადმოსაცემად, აუცილებელია, პირველ რიგში, მოსწავლეებს მიეწოდოთ ინფორმაცია ადამიანთა გასამართლების იმ პერიოდში არსებულ, აპრობირებულ მეთოდებზე, საბრალდებო მახასიათებლებსა და რეპრესიის ძირითად მამოძრავებელ მიზნებსა თუ მიზეზებზე. ასევე მნიშვნელოვანია, დართული იყოს როგორც რეპრესირებული პირების ძირითადი ბიოგრაფიული ცნობები, ასევე ბრალდებისა და გასამართლების დეტალები. ნარატივები კი გამყარებული უნდა იყოს შესაბამისი წყაროებითა და საარქივო დოკუმენტაციით. აღნიშნული რესურსები მოსწავლეს დაეხმარება ისტორიულ მოვლენებს შორის რთული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენასა და შემდგომ ანალიზში, ამავდროულად, ხელს შეუწყობს ისტორიული ეპოქების უკეთ აღქმასა და მათი მახასიათებლების ერთმანეთთან/ თანამედროვეობასთან შედარებას.

[10] აგიტპროპი - აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების შემოკლებული სახელწოდება.

წყაროები:

- Assmann, Aleida. “Canon and Archive,” A Companion to Cultural Memory Studies, eds. Astrid Erll and Ansgar Nunning, De Gruyter, 2010, p. 101.

- Burke, Peter. Sociology and History (London, Boston: G. Allen & Unwin, 1980), p. 100-101.

- Ferro, Marc. The Use and Abuse of History or How the Past is Thought to Children. London and New York, 2003.

- Koulouri, Cristina. Introduction. Clio in the Balkans. The Politics of History Education. C. Koulouri (Ed.).Thessaloniki, Petros Th. Ballidis & Co., 2002. p. 31.

- Mehlinger, Howard D. “International Textbook Revision: Examples from the United States,” Internationale Schulbuchforschung, no. 7 (1985): p. 287.

- Nora, “Between Memory and History”, 1989, p. 19.

- Nora, “Introduction to Realms of Memory”, 2001, p. 19.

- Paske, Gerald H. (1972) 'Education and the problem of indoctrination,'

- Peterson, Barbara A., Indoctrination in education: Offering an alternative conception, University of New Hampshire, Durham, 2008.

- Porat, Dan . (2001). ‘Contemporary past: history textbooks as sites of national memory’. A. Dickinson, P. Gordon & P. Lee (eds). International Review of History Teaching. Vol. 3. Raising Standards in History Education. Woburn Press, 2001, p.49.

- Ricoeur, Paul. Paul Ricoeur hermeneutics and the human sciences. J. B. Thompson, Ed. New York: Cambridge University Press, 1981.